სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 23 იანვარი 1999 №10 (783) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე წრის კალენდარი გამოცხადდა

თუმცა განრიგი 5 თებერვალს აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს

XVI ტური

28 თებერვალი, კვირა

ლოკომოტივი - კოლხეთი
სამგურალი - მერანი
გურია - სიონი
ტორპედო - თსუ
იბერია - ოდიში
დილა - გორდა

1 მარტი, ორშაბათი

ვიტ ჯორჯია - ბათუმი

2 მარტი, სამშაბათი

არსენალი - დინამო

ორი ქვეყნის ჩემპიონი

საუკუნოვანი ვენის „რაპიდი“ ახალ რუბრიკაში „იუბილარი“

ელოდეთ შეტევებს და სიურპრიზებს

ხვალ ბებერ „ოლდ ტრაფორდზე“ ორი გიგანტი — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ დაეჭიდებიან ერთმანეთს

MANCHESTER-LIVERPOOL

მოულოდნელი ცვლილება ქართულ კალათბურთში

გადაღლილმა ხომერიკმა ვიცე-პრეზიდენტობა ახალგაზრდა დადიანს გადაულოცა

სიეტლი სტეფანიას კონტრაქტზე ხელის მოწერას აჩქარებს

ვლადიმერი კი სამასგვერდიანი კონტრაქტის გულდასმით წაკითხვას აპირებს და „სონიქსს“ პასუხს ორ-სამ დღეში აცნობებს

იხილეთ მერვე გვერდი



გადრი კეთილაძის ფოტო

ავადმყოფი როსე ძურციკივით დარბოდა

ავსტრალიის ღია პირველობას დღითიდღე აკლდებიან ვარსკვლავები. პირველმა მერვედფინალურმა შეხვედრებმა ქალთა და ვაჟთა სამ-სამი ფავორიტი შეიწირა.



REUTERS მელბურნიდან

პატრიკ რაფტერი

იხილეთ მეშვიდე გვერდი

4+1+∞

ამას წინათ გამცნეთ ბელგიურ „რასინგ მეხელენში“ მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების შესახებ. „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ამ კლუბში თამაშის სურვილი დინამოელმა გივი დიდავამაც გამოთქვა. ის მეხელენში მოსახვედრ ვიზას უცდიდა საფრანგეთის საელჩოსგან. გივიმ ევროკავშირში ჩასაფრენად ნებართვა აიღო და ბენილუქსს მიაშურა. დიდავას იქ ჩვენებურთა კვარტეტი — გიორგი კიკნაძე, დავით ჩალაძე, ლევან ხომერიკი და გიორგი ანჩაბაძე ელოდა.

გუშინ დავუკავშირდით გიორგი ანჩაბაძეს, რომელმაც გვამცნო, გივი მეხელენში უკვე მოეწყოო. მოწყობაში სოციალურ მხარეს ვგულისხმობთ, თორემ ბელგიის მესამე ლიგის გუნდში დიდავასდარ ფეხბურთელს არაფერი სჭირდა მოსაწყობი.

„რასინგ მეხელენი“, რომლის კონსულტანტადაც დავით ყიფიანი გვევლინება, სამეორეწრეო მზადებას ადგილზე გადიოდა. ღღეს კი სეზონს განაახლებს. გუნდს დამატებულმა გივი დიდავამაც მოასწრო რამდენიმედღიანი ვარჯიში.

რაც შეეხება ბელგიური კლუბის მესვეურთაგან ჩვენებურთათვის გრძელვადიანი კონტრაქტების შეთავაზებას, როგორც ანჩაბაძემ გვითხრა, მსგავსი წინადადება არ მიუღიათ. კვლავ ძალაში რჩება ძველი პირობა — ქართველები „რასინგ მეხელენში“ სეზონის ბოლომდე დარჩებიან...

თუ ყიფიანის გუნდის სატურნირო მდგომარეობა გაინტერესებთ, გეტყვით, რომ იგი პირველი წრის მერე მეორე საფეხურზე იმყოფება და ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ტინენს“.

ასე რომ, ამიერიდან „რასინგ მეხელენის“ ღირსებას ქართული კვინტეტი დაიცავს, თუმც არაა გამორიცხული, ეს რიცხვი უფრო გაიზარდოს.



ბადრი ჯანელიძის ფოტო

გივი დიდავა მეხუთე ჩვენებური „რასინგ მეხელენში“

როგორც ჩვენთვის ცნობილია, თბილისის „დინამო“ 10 თებერვლიდან ორკვირიან შეკრებას გაივლის ბელგიურ მიწაზე. საქართველოს მარადი ჩემპიონი, ადვილი შესაძლებელია, მის ფილიალად მონათლულ ყიფიანის კლუბსაც გაეჯიბროს ამხანაგურად და...

„დინამო“ სამშობლოში 24 თებერვალს დაბრუნდება. არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენი ჩემპიონები კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეელევიან „რასინგ მეხელენისთვის“.

ხვიჩა სანიკიძე

ლოდინის ერთი თვე

შარშან, 18 დეკემბერს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა დავით მუჯირმა „სარბიელს“ განუცხადა, ჩათვალეთ, ჩემი დინამოური კარიერა დასრულდა, აწი თამაშს იტალიურ სერია A-ში გავაგრძელებო.

იტალია საქართველო არ არის და ფეხბურთში ჩახედულმა კაცმა იცის, რამხელა განსხვავებაა ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატს შორის. სად იტალია და სად საქართველო. თანაც მუმუ რომელიმე მეორეხარისხოვან კლუბს კი არა, თვით ყოვლისშემძლე „იუვენტუსს“ უმიზნებდა.

დათოს იმედი ჰქონდა, დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდა და აგულიანებდა.

მას შემდეგ თვეზე მეტი მიილია. „დინამოს“ თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ თავისი რჩეულები შეკრიბა და ვარჯიშს შეუდგა. მუჯირი მათ შორის არ გამოჩენილა. ფიზიკური კონდიციების შესანარჩუნებლად „დინამო 2“-თან ემზადებოდა და იტალიიდან სატელეფონო ზარს ელოდა.

ამასობაში ხურცილავამ გუნდის სამეორეწრეო კონტურები გამოკვეთა და რახან დათო „დინამოში“ თამაშს უარობდა, წინააღმდეგობა არ გაუწევია, ფეხბურთელს გათავისუფლების ფურცელი უფეშქაშა, მაგრამ ავანსად ეს სიტყვებიც მიაყოლა, იცოდე, თუ იტალიური ვარიანტი არ გამოვიდა, გუნდში დაბრუნების იმედი ნუ გექნებაო.

დავით მუჯირი

მუმუ ახლაც თბილისშია, ინდივიდუალურად ემზადება და ისევ ელის. მისი თქმით, ყველაფერი თვის ბოლოს, ესე იგი, რამდენიმე ღღეში უნდა გაირკვეს.

დათოსთვის ლოდინის ყოველი ღღე ლამის ერთ თვედ იქცეს. მისი ცოდვით სავსე იტალიელები კი ჯერაც დუმან. ჯანდაბას, ნუ იქნება „იუვენტუსი“, სხვა იყოს, სერია A-ში სუსტი გუნდი ხომ თითქმის არ არსებობს. იმედია, ჩვენებური მაინც წავა იტალიას და საწადელს აისრულებს, არადა, ღმერთმა ნუ ქნას და უთამაშებლობა მის თამაშს ღაღს დაამრნევს. ალბათ, მუმუმ ამაზეც იფიქრა და იცის, რასაც აკეთებს.

მამუკა კვანტალიანი

განჯიდან ავლაბარში

ერთვნული გუნდისგან განსხვავებით, ახლა ნაღდად გადაწყვეტილია — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 8 თებერვალს აზერბაიჯანელ თანატოლებს უმასპინძლებს. მატჩი სავარაუდოდ ავლაბარში, „ისნის“ სტადიონზე გაიმართება. ფეხბურთის ფედერაციის მუშაკებს, სლოვენიელების სამასპინძლოდ უკვე დაუწყიათ მზადება და რადგანაც რუსთავის „ფოლადს“ სწორედ ახალგაზრდათა მატჩისთვის ამზადებენ, მეზობლებთან თამაშიც ამ სტადიონზე ჩაუფიქრებიათ.

როგორც ახალგაზრდათა ერთ-ერთმა მწვრთნელმა გვითხრა, 8 თებერვლის მატჩისთვის ისინი ექვსი ლეგიონერის გამოძახებას აპირებენ: ვიტალი დარასელია, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, გიორგი დავითნიძე, ლაშა ჯაკობია, გიორგი ყიფიანი. ამათგან ალბათ იაშვილს გაუჭირდება თბილისში ჩამოსვლა, რადგანაც „ფრაიბურგი“ ჭირვეულობს.

რაც შეეხება ფეხბურთელთა სრულ სიას, ამას ერთ-ერთ უახლოეს „სარბიელში“ გაეცნობით.

კობა ინასარიძე

აირევა, არ აირევა...

ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებამ დაასრულა მუშაობა მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარზე. როგორც ფედერაციაში გვითხრეს, კალენდრის შედგენისას ყველაფერი იყო გათვალისწინებული. ყველაფერში, ალბათ, საქართველოს ნაკრებ გუნდთა ამხანაგური და ოფიციალური მატჩების განრიგიცაა გათვალისწინებული.

ფედერაციაში იმედოვნებდნენ, რომ ამჯერად კალენდალური მატჩების გადადება-გადავადებას თავიდან აიცილებენ, რაც აქამდე არასდროს იყო შესაძლებელი.

მიუხედავად საშეჯიბრო განყოფილების განსაკუთრებული ყურადღებისა, არაა გამორიცხული, მეორე წრის კალენდარი მაინც გადასაკეთებელი შეიქნეს.

ეს იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ ორი თბილისური გუნდი — თსუ და „არსენალი“ — გადაწყვეტს და „ისნის“ სტადიონს საზიარო სარბიელად გაიხდის. მაშინ ფედერაციას ოცდამეექვსე ტურიდან კალენდრის გადასინჯვა მოუწევს. ოცდამეექვსე, ოცდამერვე და ოცდამეათე ტურებში ორივე გუნდი მასპინძლებად გვევლინება. იმედია, ამ პრობლემას იოლად მოევლება და ჩემპიონატიც 23 მაისს, წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის თანახმად, ჩამთავრდება.

ქვემოთ დაბეჭდილი კალენდარი ჯერჯერობით მაინც პროექტის სახით არსებობს. ერთადერთი, რაც მას აკლია, ის არის, რომ იგი ფედერაციის აღმასკომს არ დაუმტკიცებია.

აღმასკომი 5 თებერვალს შეიკრიბება და საშეჯიბრო განყოფილების ნაღვაწსაც ბეჭედს დაასვამს. 5 თებერვალს დამტკიცდება მეორე ჯგუფის ოთხივე ზონის კალენდარი, რომელზეც მუშაობა საშეჯიბრო განყოფილებას, ფაქტობრივად, დასრულებულიც აქვს. როგორც გვითხრეს, მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებიღაა შესასწორებელი.

საქართველოს X ჩემპიონატის კალენდარი

პირველი ჯგუფი. მეორე წრე

საქართველოს თასი მეოთხედფინალი

20-24 თებერვალი

ლოკომოტივი — ბათუმი
ტორპედო — გორდა
ვიტ ჯორჯია — სამგურალი
არსენალი — მერანი

XVI ტური

28 თებერვალი, კვირა
ლოკომოტივი — კოლხეთი
სამგურალი — მერანი
გურია — სიონი
ტორპედო — თსუ
იბერია — ოდიში
დილა — გორდა
1 მარტი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია — ბათუმი
2 მარტი, სამშაბათი
არსენალი — დინამო

XVII ტური

4 მარტი, ხუთშაბათი
თსუ — გურია
5 მარტი, პარასკევი
კოლხეთი — ტორპედო
სიონი — დილა
გორდა — სამგურალი
მერანი — დინამო
ოდიში — ლოკომოტივი
ბათუმი — იბერია
6 მარტი, შაბათი
ვიტ ჯორჯია — არსენალი

XVIII ტური

12 მარტი, პარასკევი
არსენალი — მერანი
სამგურალი — სიონი
დილა — თსუ
13 მარტი, შაბათი
დინამო — გორდა
გურია — კოლხეთი
ტორპედო — ოდიში
ლოკომოტივი — ბათუმი
იბერია — ვიტ ჯორჯია

XIX ტური

16 მარტი, სამშაბათი
თსუ — სამგურალი
17 მარტი, ოთხშაბათი
იბერია — არსენალი
ოდიში — გურია
კოლხეთი — დილა
გორდა — მერანი
ბათუმი — ტორპედო
სიონი — დინამო
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

XX ტური

29 მარტი, ორშაბათი
არსენალი — გორდა
30 მარტი, სამშაბათი
მერანი — სიონი
სამგურალი — კოლხეთი
დილა — ოდიში
გურია — ბათუმი
ლოკომოტივი — იბერია
ტორპედო — ვიტ ჯორჯია
31 მარტი, ოთხშაბათი
დინამო — თსუ

XXI ტური

3 აპრილი, შაბათი
ბათუმი — დილა
ოდიში — სამგურალი
სიონი — გორდა
იბერია — ტორპედო
ვიტ ჯორჯია — გურია
ლოკომოტივი — არსენალი
4 აპრილი, კვირა
კოლხეთი — დინამო
თსუ — მერანი

საქართველოს თასი ნახევარფინალი

პირველი მატჩები
7 აპრილი, ოთხშაბათი

XXII ტური

10 აპრილი, შაბათი
არსენალი — სიონი
მერანი — კოლხეთი
დილა — ვიტ ჯორჯია
გურია — იბერია
დინამო — ოდიში
ტორპედო — ლოკომოტივი
გორდა — თსუ
სამგურალი — ბათუმი

XXIII ტური

16 აპრილი, პარასკევი
თსუ — სიონი
17 აპრილი, შაბათი
ბათუმი — დინამო
ლოკომოტივი — გურია
იბერია — დილა
ვიტ ჯორჯია — სამგურალი
ოდიში — მერანი
კოლხეთი — გორდა
ტორპედო — არსენალი

საქართველოს თასი ნახევარფინალი

პირველი მატჩები
20 აპრილი, სამშაბათი

XXIV ტური

23 აპრილი, პარასკევი
არსენალი — თსუ
სიონი — კოლხეთი
გორდა — ოდიში
დინამო — ვიტ ჯორჯია
სამგურალი — იბერია
გურია — ტორპედო
დილა — ლოკომოტივი
24 აპრილი, შაბათი
მერანი — ბათუმი

XXV ტური

30 აპრილი, პარასკევი
ვიტ ჯორჯია — მერანი
1 მაისი, შაბათი
ტორპედო — დილა
ლოკომოტივი — სამგურალი
იბერია — დინამო
ბათუმი — გორდა
ოდიში — სიონი
კოლხეთი — თსუ
გურია — არსენალი

XXVI ტური

5 მაისი, ოთხშაბათი
არსენალი — კოლხეთი
თსუ — ოდიში
მერანი — იბერია
დინამო — ლოკომოტივი
სამგურალი — ტორპედო
დილა — გურია
სიონი — ბათუმი
გორდა — ვიტ ჯორჯია

XXVII ტური

9 მაისი, კვირა
გურია — სამგურალი
ტორპედო — დინამო
იბერია — გორდა
ვიტ ჯორჯია — სიონი
ოდიში — კოლხეთი
ბათუმი — თსუ
ლოკომოტივი — მერანი
დილა — არსენალი

XXVIII ტური

15 მაისი, შაბათი
თსუ — ვიტ ჯორჯია
არსენალი — ოდიში
კოლხეთი — ბათუმი
სიონი — იბერია
გორდა — ლოკომოტივი
მერანი — ტორპედო
დინამო — გურია
სამგურალი — დილა

XXIX ტური

19 მაისი, ოთხშაბათი
დილა — დინამო
ბათუმი — ოდიში
ტორპედო — გორდა
ლოკომოტივი — სიონი
იბერია — თსუ
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი
გურია — მერანი
სამგურალი — არსენალი

XXX ტური

23 მაისი, კვირა
ოდიში — ვიტ ჯორჯია
არსენალი — ბათუმი
კოლხეთი — იბერია
თსუ — ლოკომოტივი
სიონი — ტორპედო
გორდა — გურია
მერანი — დილა
დინამო — სამგურალი

საქართველოს თასი ფინალი

26 მაისი, ოთხშაბათი

რა იყო ფეხბურთი ასი წლის წინ, რა იყო ჩვენი პლანეტა დედამინა, რომელზეც ბურთს აგორებდნენ. საუკუნე საფეხბურთო ცხოვრებაში იმაზე მეტია, ვიდრე კაცობრიობის ისტორიაში. თავად ფეხბურთიც ჯერ მხოლოდ საუკუნენახევრისაა და ამიტომაცაა ასწლიანები ცოტანი რომ არიან. წლეულს 6 ევროპული კლუბი ზეიმობს იუბილეს, პირველად ავსტრიული ვენის „რაპიდი"

100 იუბილარი

ორი ქვეყნის ჩემპიონი

1985 წელი. ოტო ბარიჩი, ჰანს კრანკლი და ანატოლი ზინჩენკო



1984 წელი. ჰანს კრანკლი ავსტრიის თასით

რაპიდის თხუთმეტი წუთი

თავიდან იყო ვენის მუშათა საფეხბურთო კლუბი. ეს ხალხი 1898 წლის სექტემბერში შეიკრიბა და სახალისო ბურთაობას მიჰყო ხელი. მაგრამ კლუბის საქმეები ცუდად წავიდა და მომდევნო წლის 8 იანვარს დიდი თათბირიც მოაწყვეს. იმავე დღეს მდივანმა გოლდშმიტმა, კაპიტნებმა კაილხმა და შედივიმ „სპორტკლუბ რაპიდის" დაარსება გამოაცხადეს. 1904 წელს კლუბის ოფიციალური ფერები მწვანე და თეთრი გახდა. საქმეებიც უკეთ წავიდა.

„1911-12 წლებიდან, როცა ავსტრიის პირველობა გახურდა, ყველა გუნდი ძრწოდა „ჰფაირვაიზეზე" („რაპიდის" სტადიონი იყო) ფეხის შედგმისას", — ასე აღწერს მეისტორიე მაშინდელი „რაპიდის" სიძლიერეს. ამ სარბიელზე გუნდი 1977 წლამდე თამაშობდა. შემდეგ „ვესტშტადიონზე" გადაბარგდა. ასე იყო, სანამ გუნდისა და ავსტრიული ფეხბურთის ლეგენდამ, გერჰარდ ჰანაპიმ არ მოინდომა და „რაპიდს" ახალი არენა არ აჩუქა.

ჰანაპი მეტად საინტერესო ადამიანი ყოფილა. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ავსტრიული ფეხბურთის ისტორიაში. 1948 წელს მას „ვაკერიდან" „რაპიდში" გადასვლა სურდა, მაგრამ „ვაკერმა" უფლება არ მისცა. საპასუხოდ ჰანაპიმ „ვაკერში" თამაშზე უარი განაცხადა. ბოლოს მაინც მოირგო „რაპიდის" მაისური. ეროვნულ ნაკრებშიც სარეკორდო, 93 მატჩი ჩაატარა, ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, 1954-ში მესამე ადგილიც დაიბევა და შემდეგ არქიტექტურის სწავლას შეუდგა. ახალი სტადიონის პროექტი თავისი ხელით დახაზა და ააშენა კიდეც. 1981 წელს ჰანაპი გარდაიცვალა და არენასაც მისი სახელი უწოდეს. იქვე, ეზოში, ძეგლიც დაუგეს. მთავრობამ კი, პირველი ფეხბურთელებიდან, საპატიო ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

1938 წელს ავსტრია გერმანიამ დაიპყრო და ავსტრიული კლუბებიც ეროვნულთან ერთად გერმანიის პირველობაში ჩაებნენ. ეს პერიოდი განსაკუთრებით საინტერესოა კლუბის ისტორიაში. 1941 წელს „რაპიდმა" ჯერ ავსტრიის ჩემპიონატი მოიგო, შემდეგ გერმანიის პირველობის ფინალში გავიდა. გადამწყვეტ მატჩს (რომელიც 22 ივნისს გაიმართა, ანუ იმ დღეს, როცა გერმანელები საბჭოელებს დაესხმნენ) ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" 100 ათასი მაყურებელი დაესწრო. „რაპიდის" მეტოქე გელზენკირხენის „შალკე 04" იყო. წლის მთავარმა შეხვედრამ პოლიტიკური ელფერი მიიღო. ავსტრიელთა მოგება ხომ მათ მორალურ გამარჯვებას ნიშნავდა. დამთავრებას ცოტაღა უკლდა, „შალკე" 3:0-ს იგებდა და თამაშის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ თხუთმეტ წუთში ჯერ შორმა გაიტანა, შემდეგ კი სამჯერ ბინდერმა. „რაპიდმა" 4:3 მოიგო და გერმანიის ჩემპიონი გახდა. მიმომხილველები ამ მატჩს ლეგენდარულს უწოდებენ. ქომაგებმა კი მას „რაპიდის თხუთმეტი წუთი" შეარქვეს.

რაც შეეხება სამი ბურთის გამტან ფრანც „ბიმბო" ბინდერს, ეს მეგოლე ლეგენდარულად ითვლება კლუბის ისტორიაში. ის ექვსჯერ დაასახელეს ავსტრიის საუკეთესო ფეხბურთელად. 756 თამაშში 1006 ბურთი გაიტანა და ავსტრიის „ვუნდერტიმის" შემადგენლობაშიც თამაშობდა. ეს ნაკრები კი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლება.

1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებში ცხრა ავსტრიელი ირიცხებოდა. მათ შორის, სამი რაპიდელი: ჰასილი, რაფტლი და შკოუმალი. 50-იანი წლების ავსტრიული ფეხბურთელის სახეს კი ჰანაპისთან ერთად კიდევ ერთი რაპიდელი, ერნსტ ჰაპელი წარმოადგენდა. ჰაპელი ბრაზილიური სტილის მოთამაშე გახლდათ და თავის დროზე საუკეთესო ლიბეროდ მიიჩნევდნენ ევროპაში. შემდეგ ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ტიტულოვანი მწვრთნელი გახდა.

ავსტრიელი მიმომხილველების აზრით, 30-იანი წლების „რაპიდი" ევროპის საუკეთესო საკლუბო გუნდი იყო.



ფრანც „ბიმბო" ბინდერი



ერნსტ ჰაპელი

გერჰარდ ჰანაპი

კრანკლი და ბარიჩი

80-იან წლებამდე „რაპიდს" ევროთასებზე არაფრით გამოუჩენია თავი, თუ არ ჩავთვლით 1960-61 წლების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გასვლას, სადაც ვენელებმა ლისაბონის „ბენფიკასთან" წააგეს (0:3 და 1:1). მეორე მატჩი ვენაში მოყინულ მოედანზე გაიმართა. მე-18 წუთზე შკოჩიკმა ანგარიში გაათანაბრა. მანამდე მსაჯმა სტუმართა კარში სამი აშკარა პენალტი არ დანიშნა, ხოლო როცა დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ბენფიკელმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და მსაჯმა კვლავ არ ჩასტვინა, ქომაგთა მოთმინების ფიალა აივსო. ხალხი მოედანზე გადაცვივდა. თამაში შეწყდა. ფინალში „ბენფიკა" გავიდა.

რაპიდი
ვენა, ავსტრია
RAPID
დაარსდა:
1899 წლის 8 იანვარს

ავსტრიის ჩემპიონი (30): 1912, 13, 16, 17, 19, 20, 21, 23, 29, 30, 35, 38, 40, 41, 46, 48, 51, 52, 54, 56, 57, 60, 64, 67, 68, 82, 83, 87, 88, 96

ავსტრიის თასის მფლობელი (14): 1919, 20, 27, 46, 61, 68, 69, 72, 76, 83, 84, 85, 87, 95

ავსტრიის სუპერთასის მფლობელი (3): 1986, 87, 88

გერმანიის ჩემპიონი (1): 1941

გერმანიის თასის მფლობელი (1): 1938

ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალისტი (2): 1985, 96

სულ ევროთასებზე 32-ჯერ მონაწილეობდა: 11-ჯერ ჩემპიონთა თასზე, 11-ჯერ თასების თასზე, 10-ჯერ უეფას თასზე. 1996-97 წლების ჩემპიონთა ლიგის მონაწილე

კლუბის ფერები: მწვანე და თეთრი

სტადიონი: „გერჰარდ ჰანაპი". იტევს 19 600 მაყურებელს

მისამართი: ვენა. კაიზერგასე № 6

კლუბის პრეზიდენტი: გიუნტერ კალტენბრუნერი

მთავარი მწვრთნელი: ჰერიბერტ ვებერი

უუფრო სკანდალური გამოდგა „რაპიდის" გამოსვლა 1984-85 წლების თასების თასზე. ამ დროისთვის იუგოსლავიელმა მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა ვენაში ევროპული კლასის გუნდი ჩამოაყალიბა. მის განკარგულებაში იყო ავსტრიის ნაკრების ძირითადი ბირთვი. ამას დამატებული ორი ვარსკვლავი — ჩეხი გამთამაშებელი ანტონინ პანენკა და მეგოლე ჰანს კრანკლი. კრანკლი, რომელმაც ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი, 34 ბურთი გაიტანა და 1978 წელს ევროპის „ოქროს ბუციც" ირგუნა (მოგვიანებით კრანკლი თბილისშიც ჩამოვიდა, ოღონდ არა როგორც ფეხბურთელი. 1994 წელს მისი თავკაცობით ინსბრუკის „ტიროლმა" ჩვენი „დინამო" გააბითურა). ის „რაპიდი" ქართველ გულშემატკივარსაც ემახსოვრება. 1985 წლის აპრილში კრანკლმა და კომპანიამ თასთა თასის ნახევარფინალში მოსკოვის „დინამო" დაჯაბნა, თანაც ორი ულამაზესი სპექტაკლი აჩუქა მაყურებელს. შემდეგ ფინალში ინგლისის „ევერტონთან" დამარცხდა 1:3. მანამდე კი... „რაპიდმა" მერვედფინალში შინ 3:1 მოუგო „სელტიკს" განმეორებითი თამაშის დამთავრებამდე ათი წუთი რჩებოდა. შოტლანდიელები 3:0-ს იგებდნენ. ამ დროს მინდორზე რაპიდელი ვაინჰოფერი დაეცა. შეხვედრა 14 წუთით შეწყდა. ავსტრიელები ამტკიცებდნენ, რომ ვაინჰოფერს ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი მოხვდა თავში. მასპინძლები უარობდნენ. საბოლოოდ მატჩი კი ჩამთავრდა, მაგრამ ავსტრიელებმა უეფაში საჩივარი შეიტანეს. უეფამაც, დიდი მსჯელობის შემდეგ, ორივე გუნდს ჯარიმა დააკისრა და გადათამაშება ბრძანა. მესამე რაუნდი მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე" გაიმართა. ჩვენი ევროპელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ სქოთი ქომაგები ძალიან ცუდად იქცეოდნენ. ერთი ფანი მატჩის დროს „რაპიდის" მეკარეზე თავდასხმას ცდილობდა. მეორემ კი გასასხდელში შესვლისას ბურთის გამტან პაკულტს მუშტი უთავაზა. ყველაფრის მიუხედავად, „რაპიდმა" 1:0 მოიგო და შემდგომ ეტაპზე გავიდა.

საინტერესოა, რომ ამ წლებში „რაპიდის" ხელმძღვანელობამ თავისებური სადისციპლინო კოდექსი შემოიღო გუნდში, რომელიც ორმა იურისტმა ქომაგმა შეიმუშავა. მინდორზე უხეშობისთვის მოთამაშეები 20-დან 800 დოლარამდე ჯარიმდებოდნენ. ავსტრიელი ჟურნალისტების მტკიცებით, ამას დიდად შეუწყვია ხელი „მწვანეების" მაშინდელი წარმატებებისათვის.

1996 წელს „რაპიდი" ისევ გავიდა თასთა თასის ფინალში, მაგრამ ამჯერად „პარი სენ ჟერმენთან" წააგო 0:1.

სხვათა შორის, „რაპიდთან" არის დაკავშირებული ერთი საინტერესო და ცოტა უჩვეულო ისტორია. 70-იან წლებში „რაპიდში" გადავიდა ლენინგრადის „ზენიტის" მეგოლე ანატოლი ზინჩენკო. მაშინდელი დროისთვის ეს უცნაური ამბავი იყო. რამდენი საბჭოთა, მათ შორის ქართველი სპორტსმენისთვის შეუთავაზებიათ ევროპაში გადაბარგება (იმავე ყიფიანისთვის, გუცაევისთვის), მაგრამ სპორტსმენის „იქ" კეთილდღეობას, „აქ" ოჯახის შეიწროება და ათასგვარი სირთულე მოჰყვებოდა. ამიტომ ყველა თავს იკავებდა. ზინჩენკო კი წავიდა. წავიდა და საბჭოეთში რაღაც დისიდენტისმაგვარი კაცის სახელი დატოვა. გაზეთი „ეკიპი" მაშინ წერდა: „ზინჩენკო ვენის აეროპორტში თავის ცოლთან და პატარა გოგონასთან ერთად გამოჩნდა. ორივე ხელში დიდი ჩემოდნები ეჭირა. „რაპიდის" მესვეურნი დაძაბულები უმზერდნენ პროფესიულ კლუბში ჩასულ პირველ საბჭოთა ფეხბურთელს." ზინჩენკო ავსტრიის ჩემპიონიც გახდა, თასიც მოიგო. კარიერის დამთავრების შემდეგ იქვე მწვრთნელად მუშაობდა, თუმც დისიდენტობისა არაფერი ეცხო. ხელფასს ავსტრიაში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაში აძლევდნენ. ის „სოიუზნეშტეხნიკის" ინჟინრად იყო გაფორმებული და თვეში კუთვნილი ჯამაგირის მხოლოდ მესამედს იღებდა. ასეთი იყო ლენინგრადელის „საიდუმლო მისია".

მოგვიანებით „რაპიდში" კიდევ ერთი საბჭოელი, ტორპედოელი სერგეი შავლო ჩაირიცხა, მაგრამ ამ ტრანსფერს მოულოდნელი და დაუჯერებელი უკვე აღარ ეთქმოდა. ცოტა ხანში ხომ ყველა ნორმალურმა საბჭოთა ფეხბურთელმა უცხოეთს მიაშურა.

კალტენბრუნერი და მისი გუნდი

ჰიტლერის გერმანიის დროს იყო ერთი მაღალჩინოსანი მოხელე, გვარად კალტენბრუნერი. მისი ყველას ეშინოდა. ვერ გეტყვით, ასეთივე კაცია თუ არა დღევანდელი „რაპიდის" პრეზიდენტი, მაგრამ გვარი ისეთი აქვს, ავსტრიაში და დანარჩენ ევროპაშიც ბარე ორს რომ გულს აუფრიალებს გიუნტერ კალტენბრუნერი.

ამ კაცს ჯანმაგარი ბიჭები შეუკრებია და ამბობს, საუკუნოვანი იუბილე დაგკდგომია და გუნდს ყოფილი დიდება უნდა დავუბრუნოთო. მწვრთნელად ჰერიბერტ ვებერი დანიშნა. ვებერი განთქმული კაცია ავსტრიაში. თავის დროზე „რაპიდშიც" თამაშობდა, ოთხი წლის განმავლობაში ავსტრიის ნაკრებს კაპიტნობდა და ორ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოსცადა ძალა.

დღევანდელ გუნდში ავსტრიის ნაკრების სამი — პეტერ შოტელი, არნოლდ ვეტლი და ანდრეას ჰერაფი, ერთიც პოლონელთა ეროვნული გუნდის ნახევარმცველი კრუშიშტოფ რატაიჩიკი ითვლებიან წამყვანებად. პირველი წრის შემდეგ „რაპიდი" ჩემპიონატში მეორე ადგილზეა. კალტენბრუნერი კი პირველობაზე ოცნებობს. სხვაგვარად არც იქნება, „რაპიდი" ხომ ავსტრიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია.

სოლომონ გულისაშვილი

დინო ბაჯო თბილისში. ის მაშინაც „პარმაში“ თამაშობდა

კარლოს დინო სჭირდება

თავის დროზე დინო ბაჯო „იუვენტუსში“ თამაშობდა, მაგრამ ოთხი სეზონის წინ ტურინული კლუბის მაესური „პარმის“ ყვითელ სამოსზე გაცვალა. მას შემდეგ იტალიის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მოთამაშე პარმელებისთვის იღვწის, მაგრამ მომავალი ჩემპიონატის წინ შესაძლოა დინო ბაჯო კვლავ დაუბრუნდეს „იუვენტუსს“. ტურინული კლუბის მომავალ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის დინო ბაჯო თავისთვის შეუგულებია.

ახალი ამბავი არაა, რომ „იუვენტუსში“ სეზონის ბოლოს ძირეული ცვლილებები მოხდება. პირველი და უმთავრესი კი ისაა, რომ გუნდის თავკაცი, ერთობ ხელხვავიანი მარჩელო ლიპი მიდის. „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ ლიპის შემცვლელად სწორედ კარლო ანჩელოტის, „პარმას“ ყოფილ მწვრთნელს, მიიჩნევს. ამის თაობაზე უკვე კარგა ხანია, გაცხადდა.

კარლო ანჩელოტი, 80-იანი წლების უძლიერესი „რომას“ და მოგვიანებით, არიგო საკის უბრწყინვალესი „მილანის“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, შემტევი ფეხბურთის მომხრეა. იგი საკის მოსაზრებების მიმდევარი და 4-4-2-ის სისტემის ტრფიალია. ანჩელოტის მომავალი „იუვენტუსი“ სწორედ შემტევი ფეხბურთის მქადაგებლად წარმოუდგენია, მიზნის მისაღწევად კი ძლიერი ფეხბურთელების შეკრება, მათ შორის დინო ბაჯოს გადაბირება გადაუწყვეტია.

როდესაც ანჩელოტი „პარმას“ წვრთნიდა, რამდენიმე რჩეულ ფეხბურთელს შორის დინო ბაჯოც იყო. ასეც რომ არ ყოფილიყო, დინო ბაჯო უდავოდ ძლიერი ნახევარმცველია, მებრძოლი და სტაბილური მოთამაშეა, ახასიათებს უძლიერესი დარტყმები შორი მანძილიდან, რაც „სკუადრა აძურაში“ თამაშისას არაერთხელ დაუმტკიცებია. მიუხედავად იმისა, რომ გოლები იშვიათად გააქვს, თითქმის ყველა შეხვედრაში იგი საუკეთესოა მოედანზე.

„იუვენტუსს“ კი სწადია დინო ბაჯოს გადაბირება, მაგრამ თავად ფეხბურთელის აზრი, ანაც მისი კლუბისა, უცნობია. მოთამაშე ამჟამად კარგ კლუბშია, „პარმა“ სერია A-ს მოსაგებად იბრძვის, ამასთანავე უეფას თასის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტიცაა. ყველაფრის მიუხედავად, როგორც ჩანს, ანჩელოტი უკან დახევას არ აპირებს — რამდენიმე დღის წინ იგი კლუბის თავკაცებს შეხვდა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. საბოლოოდ კი „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობა უდიდესი თანხის გამოყოფაზე დაიყოლია. ჯერჯერობით ოფიციალურად არაფერი განუცხადებიათ იტალიის ჩემპიონებს, მაგრამ იტალიური პრესის ცნობით, „იუვენტუსს“, ანჩელოტის დაჟინებული მოთხოვნით, დინო ბაჯოს გადასაბირებლად 16 მილიონი დოლარი გამოუყვეს. ამ რაოდენობის თანხა ფეხბურთელში, „იუვენტუსს“ არასდროს გადაუხდია.

— წლევანდელი კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი მაღალი დონის ფეხბურთელების საჭირო რაოდენობით არყოფნაა. „იუვენტუსში“ ვარსკვლავების ნაკლებობაა. დღევანდელ ფეხბურთში კი შემსრულებელთა გარეშე, რაიმეს მიღწევა შეუძლებელია — განუცხადა ანჩელოტიმ „კორიერე დელა სერას“, საუბრის ბოლოს კი დინო ბაჯოს შესყიდვის სურვილიც არ დაუმალავს.

როგორც ჩანს, „იუვენტუსმა“ მომავალი სეზონისთვის პირველმა დაიწყო მზადება. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ კლუბმა მიმდინარე ჩემპიონატზე ხელი ჩაიქნია?

ირაკლი ილაშვილი

ეს რა უთქვამთ?

„სუპერარწივები“ სამშობლოში ბრუნდებიან. არა, სამუდამოდ არა, მხოლოდ ქვეყნის ღირსების დასაცავად.

ნიგერიის ნაკრების ლიდერებმა, ევროპის წამყვან კლუბებში მიმოფანტულმა ფეხბურთელებმა ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვეს, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი ქვეყნის ღირსების დაცვაზე უარს აცხადებდნენ.

საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში, დანიასთან 1:4 შერცხვენის შემდეგ რამდენიმე ნიგერიელმა ფეხბურთელმა ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. განსაკუთრებით ამსტერდამის „აიაქსის“ მცველი სანდი ოლისე აქტიურობდა, რომელსაც გუნდის მაშინდელი თავკაცის ბორა მილუტინოვიჩის ტაქტიკა არ მოსწონდა. დანიელებთან წაგებით გულგატეხილმა ოლისემ მაშინ ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციას შეუთვალა, ნაკრებში აღარ ვითამაშებო. ოლისეს სხვებმაც მიბაძეს. ახლა კი ყველა განდეგილი ნაკრებს დაუბრუნდა.

ამბობენ დრო ყველაფრის მკურნალიაო. ეს ნიგერიელთა შემთხვევაშიც გამოჩნდა. როგორც ჩანს, „სუპერარწივებმა“, ნაკრებიდან წასვლა ცხელ გულზე გადაწყვიტეს. რამდენიმე თვის შემდეგ კი შეცდომას მიხვდნენ და ადრე თქმული თავადვე უარყვეს.

ახლა ნიგერიის ნაკრები აფრიკის თასის 2000 წლის გათამაშებისთვის ემზადება. ნაკრებსაც ახალი მწვრთნელი ჰყავს — ჰოლანდიელი ტის ლიბრეგტსი. გუნდს რჩეული ფეხბურთელებიც დაუბრუნდნენ. ეს კი ნიგერიულ ფეხბურთს, უეჭველია, კარგის მეტს არაფერს მოუტანს.

ნაკრებს დაუბრუნდა სანდი ოლისეც. „აიაქსის“ მცველმა ერთ-ერთ ნიგერიულ გაზეთს განუცხადა დანიელებთან მარცხმა პირადად ჩემზე მძიმე ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა და ნაკრებში თამაშზე უარი გაუცნობიერებლად ვთქვიო.

პრის ფული და პრის ყველაფერი

10 თებერვალს ინგლისის ნაკრები შინ, „უემბლიზე“, მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთს უმასპინძლებს. გლენ ჰოდლის გუნდი 1999 წლის სეზონს უმნიშვნელოვანესი ამხანაგური შეხვედრით იწყებს. ინგლისელები ამბობენ, გავიმარჯვებთო.

გლენ ჰოდლს და მის გუნდს მართლაც დიდი გამოცდა ელის. ინგლისელთა თავკაცმა განაცხადა, გასული წელი კარგად დავამთავრეთ, ჩეხებს 2:0 ვძლიეთ, იმედია, ახალსაც გამარჯვებით დავიწყებთო. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, ისე კი სანახაობა და თანაც ძალიან კარგი, მართლაც უნდა იყოს. თურმე ამ მატჩზე დასასწრები 70 ათასი ბილეთი უკვე გაყიდული ყოფილა, სავსე სტადიონი კი ლამაზი პაექრობის უპირველესი წინაპირობაა. სხვათა შორის, საფრანგეთს და ინგლისის ბოლო დაპირისპირება კუნძულელთა გამარჯვებით დასრულდა — 1997 წელს, საფრანგეთის ოთხთა ტურნირის დროს ინგლისმა ალან შირერის ერთადერთი გოლის წყალობით სძლია მასპინძელი.

მსოფლიოს ჩემპიონებთან დაპირისპირებას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ფრანგთა დასასვენებლად მზადება უკვე დაწყებულა.

ასოციაციის წარმომადგენელმა დეივ დევისმა განაცხადა, ჩვენს ფეხბურთში აღმავლობა შეინიშნება და დროა, შესაბამისი პროგრესი ინგლისურ კლუბების დარად ქვეყნის ნაკრებსაც დაეტყოსო.

თუ ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი გამარჯვების მოლოდინშია, ფეხბურთის ასოციაციამ უკვე იზეიმა უდიდესი გამარჯვება — ქვეყნის ერთ-ერთმა მძლავრმა კომპანიამ „ნეიშენუაიდმა“, რომელიც აქამდე უკვე სპონსორობდა ეროვნული ჩემპიონატების ქვედა დივიზიონებს, ფეხბურთის ასოციაციასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც 25 მილიონი დოლარი ინგლისუნი ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება.

ბრიტანეთის საფეხბურთო ისტორიის მანძილზე ეს ყველაზე დიდი გარიგებაა. სხვათა შორის, „ნეიშენუაიდთან“ დადებული ხელშეკრულებით ინგლისის ნაკრები ორჯერ მეტ თანხას მიიღებს, ვიდრე ძველ სპონსორ „გრინ ფალეგისგან“.

— ეს უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. პროექტი ინგლისურ ფეხბურთს ნამდვილად წაადგება და ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს — განაცხადა გლენ ჰოდლმა.

25 მილიონი დოლარი ძალიან დიდი თანხაა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში უკვე შემუშავებული ჰქონიათ გეგმა, თუ სად და როგორ გადანაწილდება ეს ფული. იგი ინგლისის ყველა ნაკრებს მოხმარდება, მათ შორის ქალთა გუნდსაც.

ცნობისთვის — გასული წელს „ნეიშენუაიდმა“ 9 მილიონდოლარიანი ხელშეკრულება გააფორმა ქვეყნის პირველ, მეორე და მესამე დივიზიონების სპონსორობაზე.

„ნეიშენუაიდთან“ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრებს უმალ გამოუძებნა კიდევ ერთი მეტოქე.

28 აპრილს ინგლისის ნაკრები ბუდაპეშტში უნგრეთის გუნდს დაუპირისპირდება. 9 ივნისს, ინგლისელები სოფიაში მეტად მნიშვნელოვან შეხვედრას ატარებენ მასპინძლებთან და თუ ამ შესარჩევ მატჩს ვერ მოიგებენ, ჰოდლის გუნდის ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე მოხვედრა სათუო გახდება.

— თავდაპირველად დაგეგმილი გვქონდა, უნგრელებს შინ შევხვედროდით, მაგრამ ისევ სტუმრად თამაში ვარჩიეთ. გუნდისთვის ასე აჯობებს — თქვა ჰოდლმა.

ინგლის — უნგრეთის მეტოქეობას დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა ბოლო ათწლეულებში ბრიტანელთა უპირატესობა აშკარაა. 1962 წლის შემდეგ უნგრელებს ინგლისელები ვერ დაუმარცხებიათ, ბოლო 10 შეხვედრიდან კი 9 მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონებმა მოიგეს. ბოლოს მეტოქენი ერთმანეთს 1996 წლის მაისში დაუპირისპირდნენ. ინგლისმა 3:0 მოიგო.

ირაკლი ილაშვილი

შვედეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ ანდრეას ლიმპარს იტალიის სერია B-ს კლუბმა „რეჯანამ“ თავისთან გადასვლა შესთავაზა, მაგრამ მან აპენინელები უარით გაისტუმრა. პრემიერლიგის „არსენალსა“ და „ევერტონში“ თავის დროზე ნათამაშევ ლიმპარს კარიერის გაგრძელება ამერიკისა ან იაპონიის ნახევრადპროფესიონალურ ლიგებში სწადია. 33 წლის შვედმა ფეხბურთელმა 90-იანი წლების დასაწყისში სერია A-შიც ითამაშა „კრემონეზეს“ შემადგენლობაში. რამდენიმე დღის წინ სტოკჰოლმის აიკ-მა ლიმპარს განუცხადა, რომ იგი აღარ სჭირდება.

გერმანიის ნაკრების ყველა დროს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელ იურგენ კლინსმანს ლონდონის „ტოტენჰემის“ თავმჯდომარე ალან შუგარმა შესთავაზა, ფეხბურთიდან გამოსათხოვარი მატჩი ჩვენთან, „უაით ჰართ ლეინზე“ გავმართოთო (გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ კლინსმანს მისი პატივსაცემი მატჩის გამართვაზე უარი უთხრა). შუგარის თქმით, თუ კლინსმანი მოისურვებს, გერმანიის ნაკრების და მსოფლიოს ვარკვლავთა გუნდს „ტოტენჰემის“ სტადიონზე შეეძლებათ პაექრობა. იურგენ კლინსმანს ბუნდესნაკრებში 108 შეხვედრა უთამაშია, ლონდონის „ტოტენჰემში“ კი 1994-95 წლებში გაიბრწყინა.

ესპანურ საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყნის ჩემპიონისა და თასის მფლობელის „ბარსელონას“ სპორტული მუზეუმს 1998 წელს 927 024 დამთვალიერებელი ეწვია, ანუ 10 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. ამ მაჩვენებლით კატალონიური კლუბის მუზეუმი ესპანეთის ყველაზე პოპულარულ მუზეუმთა შორის მეოთხე ადგილზე მოექცა.

ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა „ტოტენჰემმა“ განაცხადა, რომ ფრანგი მცველის ალან გომას შესყიდვა სურს. ამჟამად 26 წლის ფეხბურთელი დასუსტებულ პსჟ-ში თამაშობს. „მას კარგი ხანია, ვაკვირდები. მისი გადაბირება იდრეც მსურდა, მაგრამ გარკვეულ წინააღმდეგობებს ეწყდებოდი. იმედია, ახლა მაინც შევიძენ. მომაჩნია, რომ ალან გომა და სოლ კემპბელი ერთმანეთს კარგად შეეწყვილებიან — „ტოტენჰემის“ მწვრთნელი ჯორჯ გრემი ფრანგ მოთამაშეზე კარგი აზრისაა. მას გომა ჯერ კიდევ მაშინ მოეწონა, როცა ფეხბურთელი „ოსერში“ თამაშობდა. პსჟ მცველის სანაცვლოდ 4,8 მილიონ დოლარს ითხოვდა. ალან გომას საფრანგეთის ნაკრებში ერთადერთხელ, 1997 წელს უთამაშია თურქებთან 4:0 მოგებულ მატჩში.

ისრაელის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი მოქმედ ფეხბურთელთა შორის ალონ მიზრაჰი (21 გოლი) საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ნიცაში“ გადადის. მისი კლუბია თასთა თასის ბოლო გათამაშების მეოთხედფინალში გასული ჰაიფას „მაკაბი“ სანაცვლოდ 1,5 მილიონ დოლარს მიიღებს. ჰაიფელები მიზრაჰის შემცვლელს ეძებენ და შეუუფლებიათ კიდეც თურქულ „ბურსასფორში“ დროებით გადასული რონენ ჰარაზი. რაც შეეხება მიზრაჰს, იგი უკვე გაფრინდა ნიცას კლუბთან კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, მიზრაჰიმ წლევანდელი თასების თასის გათამაშების ექვს შეხვედრაში კლუბის მიერ გატანილი 12 გოლიდან ნახევარზე მეტი, შვიდი შეაგდო. „რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ვფიერობ, ახლა დროა, კარიერა სხვაგან გავაგრძელო“ — განაცხადა მიზრაჰიმ.

ესპანეთის თასის გათამაშების მეოთხე წრის პირველ მატჩში მადრიდის „რეალმა“ „ვილიარეალი“ დაამარცხა 2:0. ორივე გოლი პრედრაგ მიატოვიჩის ნაცვლად შესვლაზე შესულმა ფრენანდო მორიენტესმა გაიტანა. ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა 70-ე და 90-ე წუთებზე გამოიჩინა თავი. „ვილიარეალს“ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ივან კამპოს მიერ ტომას კრისტიანსენის წაქცევის გამო დანიშნული პენალტი მოიზეს გარსამ 42-ე წუთზე ვერ გამოიყენა.

ავსტრალიელ ფეხბურთელ მარკ ვიდუკას შოტლანდიის ჩემპიონის, გლაზგოს „სელტიკის“ დატოვება გადაუწყვეტია. ვიდუკას აგენტის თქმით, თავდამსხმელი სქოთურ პრემიერლიგას ერთობ დაუღლია და მოთამაშესაც სხვაგან გადასვლის სურვილი გასჩენია. შეგახსენებთ, რომ მარკ ვიდუკა გასულ, საჩემპიონო სეზონში „სელტიკის“ ერთ-ერთ ლიდერთაგანი იყო, თუმცა ამ ბოლო ხანებში კლუბის ხელმძღვანელობასთან პრობლემები შეექმნა. როგორც ვიდუკას აგენტი ბერნი მანდიჩი ამბობს, ის კლუბი, რომელიც ავსტრალიელის შეძენას მოინდომებს, 2,5 მილიონი დოლარის გადახდასაც უნდა დაყაბულდეს.

იტალიელი მოთამაშე-მწვრთნელი ატილიო ლამბარდო პრემიერლიგიდან გავარდნილი „კრისტალ პალასიდან“ წავიდა. „სკუადრა აძურას“ ყოფილი ფეხბურთელი რომში „ლაციოს“ ხელმძღვანელობას შეხვდება და ერთწლიან კონტრაქტზე გაესაუბრება. ლომბარდომ იმიტომ დატოვა „კრისტალ პალასი“, რომ კლუბის საქმეები სულ უკან-უკან წავიდა, ამაში კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ატილიო დაადანაშაულეს. კლუბის მფლობელმა მარკ გოლდბერგმა განაცხადა, ძალიან კი გვიჭირს ლომბარდოსთან განშორება, მაგრამ ასეა საჭიროო. „კრისტალ პალასი“ იტალიელის სანაცვლოდ 500 ათას გირვანქას ითხოვს. ცნობისთვის: ატილიო ლომბარდოს იტალიის ნაკრების შემადგენლობაში თბილისშიც უთამაშია.

ალჟირელ მუსა საიბის მომავალი ლონდონის „ტოტენჰემში“ ბუნდოვანია. არაა გამორიცხული, კლუბის მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა იგი გაასხვისოს. კვირას მუსა საიბი ნაკრებს შეუერთდა ტუნისთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ. ალჟირელ ფეხბურთელსა და „ტოტენჰემს“ შორის ურთიერთობის გაუარესება მოთამაშის უდისციპლინობამ და საქმისადმი არაპროფესიონალურმა მიდგომამ გამოიწვია. მუსა საიბი „ტოტენჰემმა“ ესპანური „ვალენსიასგან“ შეიძინა, თუმცა მაშინ პრემიერლიგურ კლუბს გრემის შვეიცარიელი წინამორბედი კრისტიან გროსი წვრთნიდა. მაშინ ინგლისელებმა ალჟირელში 5,8 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

ამერიკის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჯონ ჰარკსი კარიერას პრემიერლიგის „ნოტინგემ ფორესტში“ გააგრძელებს. 31 წლის ნახევარმცველის „ვაშინგტონ იუნაიტედიდან“ გადაბირების სურვილი ნოტინგემელთა მთავარმა მწვრთნელმა, რონ ატკინსონმა გამოთქვა. ჰარკსს ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია — 1990 და 1994 წლებში, ნაკრებში მას 90 მატჩი აქვს ჩატარებული. ამასთანავე გაცხადდა, რომ ატკინსონმა „საუთჰემპტონის“ მცველი კარლტონ პალმერი გადაიბირა. იგი გუშინ ეწვია ნოტინგემს სამედიცინო ტესტირების გასავლელად.

გიო ახვლედიანის სვეტი

დენილსონის ფრაზა

გასულ უქმეებზე დენილსონი გამახსენდა.

დენილსონ ოლივეირა — შარშანწინდელი „ტურნუას“ გმირი. ბარე ოც დიდ ჟურნალში მოხსენიებული, სულ დიდ საფეხბურთო მწერალთა მიერ როგორც ძველი, ჯადოსნური ფეხბურთიდან გადმოვარდნილი ფრთის თავდამსხმელი, გარინჩას მემკვიდრე და ა.შ. თანაც, უძვირესი კაცი.

სად არის ახლა დენილსონი?

იღვწის პრიმერა დივიზიონში, როგორც ნშირად შევიტყობთ ხოლმე და არცთუ ვალერი კარპინზე უკეთესადო.

და სწორად ამ კვირაში სარედაქციო ფოსტამ სქელი ინგლისური ჟურნალი ჩამოიტანა. იქ კი დენილსონთან ინტერვიუა დაბეჭდილი. საინტერესოა, ჩემმა მზემ. განსაკუთრებით კი დენილსონის მთავარი ფრაზა, რომელიც ჟურნალს ყდაზეც დაუტანია.

ახლა კი გავიხსენოთ, რომ დენილსონი ყბადაღებულ კაცად შეექნა მსოფლიო ჩემპიონატზე. რისთვისაც სახელი დაიგდო „ტურნუაზე“ იმისთვის სალანძღავ კაცად გამოვიდა — „მოგვკლა ამ კაცის არაფრისმომცემმა „მატაობამო“. გამორჩევით ბრაზდებოდა ხალი იმაზე, როომ ფინალში, დენილსონმა მარცხენა ფლანგზე ოთხჯერ გადაატარა ბურთს ფეხები და კლდეკაც ფრანგ მცველებს თავგზა ვერ აუბნია. ითქვა, გამორჩევით ბრაზილიური ფეხბურთის არცთუ მოტრფიალეთა მიერ, კაპიკის საქმეს ვერ აკეთებს და მილიონები კი ღირსო.

ბევრ ფეხბურთელს უცნაური ბედი აქვს. დღევანდელ თამაშში გამორჩევით უჭირთ დენილსონისნაირებს, რომელთა მთავარი ხიბლიც, მოედანზე ლამაზი რამეების კეთებაა. ეს ლამაზი რამეები, რა თქმა უნდა, გუნდის სასარგებლოდ კეთდება და სანამ გადის დიდად სასარგებლოცაა, მოხდენილობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაგრამ დღევანდელ მცველებს ამგვარ მოთამაშეთა წინააღმდეგ ათასი ეფექტური ხერხი აქვთ. რითაც ფეხბურთში გამოჩენილ დენილსონებს გააქვთ, სიიაფე და მოულოდნელობის ეფექტია. გამოჩნდა დენილსონი და პატარა და მშვენიერი სასწაულებიც მოახდინა. ერთ წელიწადში კი მას გასაღები მოარგეს. დღეს ის აღარ არის ისეთი პრობლემა, ორი წლის წინათ რომ იყო.

მისნაირ მოთამაშეებს, ვარსკვლავობა რომ შეინარჩუნონ, თანამედროვე ფეხბურთში, განუწყვეტელი განვითარება და ახალი გზების ძიება ესაჭიროებათ. სხვაგვარად მათი ხანგრძლივი წარმატება შეუძლებელია. შეიძლება ერთხელ მოატყუო ტურამი ნაცადი ხერხით, მეორედ დაჯარიმდეს შენთან ბრძოლაში, მესამედ კი მორჩა, წაგართმევს.

ჩანს, დენილსონი იმად რჩება, რაც სამი წლის წინათ იყო.

მისი მთავარი პრობლემაც ეს არის.

ახლა კი მის ფრაზას მივხედოთ. დენილსონს განუმეორებელ ტექნიკასა და კრიტიკოსთა მოზღვავებაზე ეკითხებიან, ის კი პასუხობს:

„ღმერთმა დამჯილდოვა ამ საოცარი ნიჭით... თუ მაკრიტიკებენ, ეს ჩემი პრობლემა არ არის. მე არ შევიცვლები“.

ეს არის ნაღდი ბრაზილიური პასუხი. ალალი, მოხდენილი და არცთუ ჭკვიანური.

ეშმაკმა წამიღოს, ამის წამკითხველმა ვიფიქრე, რომ იგივე სიტყვებს ყოველი ბრაზილიელი ვარსკვლავი მოაწერდა ხელს.

ეს დენილსონის განსაკუთრებული, პირადი პრობლემაა, მაგრამ მისი ნაკრების ბედიც ახლოა ამ გამონათქვამთან. ხშირად, ისინი თვლიან, რომ აშკარად მათი პრობლემა „მათი პრობლემა“ არ არის.

ბრაზილიელები უხვად, ყველაზე მეტად დაასაჩუქრა ღმერთმა, მაგრამ აქეთ რომ ტურამი დგას, ის ბევრს ფიქრობს და ანალიზი აშკარად დენილსონზე უკეთ გამოსდის.

ელოდეთ შეტევებს და სიურპრიზებს

მანჩესტერი



დაარსდა 1878 წელს
ინგლისის ჩემპიონი
1908, 1911, 1952, 1956, 1957, 1965, 1967, 1993, 1994, 1996, 1997
ასოციაციის თასი — 1909, 1948, 1963, 1977, 1983, 1985, 1990, 1994, 1996 (ქვეყნის რეკორდი)
ლიგის თასი — 1992
დუბლი შეასრულა ორჯერ — 1994, 1996
ჩემპიონთა თასი — 1968
თასების მფლობელთა თასი — 1991
სტადიონი — „ოლდ ტრეფორდი“ (55 300 მაყურებელი)
მთავარი მწვრთნელი — ალექს ფერგიუსონი
ყველაზე მეტი მატჩი — ბობი ჩარლტონი (606)
ყველაზე მეტი გოლი — ბობი ჩარლტონი (199)
ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი — ბობი ჩარლტონი (ინგლისი, 106)
ადგილი პრემიერლიგაში — მეორე

ლივერპული

დაარსდა 1892 წელს
ინგლისის ჩემპიონი — 1901, 1906, 1922, 1923, 1947, 1964, 1966, 1973, 1976, 1977, 1979, 1980, 1982, 1983, 1984, 1986, 1988, 1990
ასოციაციის თასი — 1965, 1974, 1986, 1989
ლიგის თასი — 1981, 1982, 1983, 1984, 1995
ჩემპიონთა თასი — 1977, 1978, 1981, 1984
უეფას თასი — 1973, 1976
სტადიონი — „ენფილდი“ (45 362 მაყურებელი)
მთავარი მწვრთნელი — ჟერარ ულიე
ყველაზე მეტი მატჩი — იან კალაგანი (640)
ყველაზე მეტი გოლი — როჯერ ჰანტი (245)
ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი — იან რაში (უელსი, 73)
ადგილი პრემიერლიგაში — მეექვსე

MANCHESTER vs LIVERPOOL

ეს გუნდები ჩემპიონატში ერთმანეთს შეხვდნენ 131-ჯერ (რეკორდი)

მანჩესტერმა მოიგო 47 მატჩი, ფრე — 40, ლივერპულმა მოიგო 43; მანჩესტერმა 183 გოლი გაიტანა, ლივერპულმა — 176; ბოლო შეხვედრა — „ოლდ ტრეფორდი“ 1998 წლის 24 სექტემბერი; მანჩესტერმა მოიგო 2:0 (1:0 ირვინი (14 პ), 2:0 სქოულზი (79));

ასოციაციის თასზე 13-ჯერ შეხვდნენ (რეკორდი)

მანჩესტერმა მოიგო 7 მატჩი, 4 ფრე, ლივერპულმა მოიგო 2; მანჩესტერმა 21 გოლი გაიტანა, ლივერპულმა — 13; ბოლო 10 შეხვედრა; „ოლდ ტრეფორდზე“: 2:0, 1:1, 1:0, 2:2, 2:0; „ენფილდზე: 1:3, 1:3, 2:0, 2:0, 3:3

კვირას მანჩესტერში დიდი ამბებია მოსალოდნელი. ბებერ, მრავლისმნახველ „ტრეფორდზე“ ინგლისური ფეხბურთის ორი გიგანტი კვლავ დაეჭიდება ერთმანეთს, რათა ასოციაციის თასის მეხუთე ეტაპზე გამსვლელის ვინაობა გაარკვიოს.

ამ ტურნირზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ პირველად მთელი 101 წლის წინ შეხვდნენ. მაშინ, მეორე წრის გადათამაშებაში, მერსისაიდელებმა ჯერ კიდევ „ნიუტონ ჰესის“ სახელით მოთამაშე მანჩესტერელები დამარცხეს. ასეთი რამ შემდგომ მხოლოდ ერთხელ მოხდა — 1921 წლის გათამაშების პირველ ეტაპზე. სხვა დროს ძირითადად „მენიუ“ ტოვებდა მინდორს თავაწეული.

სარეკორდო, 13 მატჩიდან ყველაზე დასამახსოვრებელი ორი გამოდგა. არა მარტო იმიტომ, რომ ფინალური შეხვედრები იყო, ისინი დაძაბულობამ და სილამაზემ დაამკვიდრა ისტორიაში.

1977 წელი იდგა. „ლივერპული“ ინგლისის ჩემპიონი გახლდათ და თასის ფინალში დუბლის შესრულებას იმედოვნებდა. ის მატჩი „უემბლიზე“ გაიმართა, ოთხ დღეში კი გუნდი რომში გადაფრინდა, რათა მიონხენგლადბახის „ბორუსიისთვის“ 3:1 მოეგო და პირველად დაუფლებოდა ყველაზე სანუკვარ ჯილდოს — ჩემპიონთა თასს. გადაფრინდა უხასიათოდ, წაგებული.

იმ დღეს დიდმა კევინ კიგანმა „ჰამბურგში“ გადასვლის წინ უკანასკნელად მოირგო „ლივერპულის“ მაისური. სწორედ მისი იმედი ჰქონდათ „უემბლიზე“ თავმოყრილ ფანებს, მან ხომ ნახევარფინალში კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა „ნიუკასლის“ წინააღმდეგ, ორი გოლი გაიტანა და გუნდს 3:0 მოაგებინა. მაგრამ კიგანმა გულშემატკივრები აშკარად გააწბილა.

ანგარიში სტიუარტ პირსონმა გახსნა მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში, თუმცა ძალიან მალე ასოციაციის თასის ისტორიაში, ალბათ, ულამაზესი გოლი გავიდა. მისი ავტორი ჯიმი კეისი გახლდათ. ტაბლოზე ორი ერთიანი აკაშკაშდა, სულ რაღაც სამი წუთით — სილამაზე კურიოზმა შეცვალა — ლუ მაკარის დარტყმული ბურთი რამდენიმე მოთამაშეს მოხვდა, ბოლოს ჯიმი გრინჰოფს შეეხო და „ლივერპულის“ მეკარე რეი კლემენსს თავზე გადაასტა — 2:1...

შემდეგ კი რომის ოლიმპიური სტადიონი იყო, გახარებული ინგლისელებით და შერცხვენილი „გლადბახით“.

მეორე ფინალი სამი წლის წინ, 1996-ში გაიმართა და „მანჩესტერის“ უდიდესი უპირატესობით აღინიშნა, თუმცა ბურთი მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა ბადეში — ერიკ კანტონამ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ამ ორ ფინალს შორის ორი დიდებული ნახევარფინალი შედგა, იმავე კლუბების მონაწილეობით.

პირველად 1979 წელს, „მანჩესტერ სიტის“ სარბიელ „მეინ როუდზე“ გაიმართა. „ლივერპულმა“ კარგად დაიწყო და კენი დალგლიშის გოლით დაწინაურდა კიდეც. მერე ჯო ჯორდანმა გაქვითა და მდგომარეობაც ტრადიციულად გამძაფრდა. ამას ლივერპულელი ტერი მაკდერმოტის გაფუჭებული პენალტი და მანჩესტერელი ბრაიან გრინჰოფის მეორე გოლი მოჰყვა, თუმცა მერსისაიდელებს ალან ჰანსენმა უშველა.

გადათამაშება ოთხ დღეში, ოლონდ უკვე მეორე ლივერპულური კლუბის, „ევერტონის“ სტადიონ „გუდისონ პარკზე“ შედგა. მასში ერთადერთი გოლი გავიდა, რომელიც ჯიმი გრინჰოფმა შეაგდო. შეაგდო და „მენიუც“ ფინალში გავიდა, რათა ლონდონის „არსენალთან“ 2:3 წაეგო.

1985 წელს მოვლენები დაახლოებით იმავე სცენარით წარიმართა, როგორც 79-ში. „გუდისონ პარკზე“ კვლავ ფრე და თანაც 2:2 აღინიშნა. მანჩესტერელთაგან მარკ ჰიუზმა და ფრენკ სტეპლტონმა იყორაღეს, ლივერპულელთაგან —რონი ვილანმა და პოლ ულშმა.

გამარჯვებულის ვინაობა კვლავ ოთხ დღეში გაირკვა „მეინ როუდზე“, სადაც „მენუმ“ მატჩის დასაწყისში პოლ მაკგრატისგან მიღებულ გოლს ბრაიან რობსონისა და იმავე ჰიუზის ზუსტი დარტყმულებით უპასუხა და ინგლისს სანუკვარი სანახაობის ხილვაში ხელი შეუშალა — „ლივერპულს“ რომ მოეგო, ფინალში მოსისხლე მტერ „ევერტონთან“ მოუწევდა ურთიერთობის გარკვევა. თუმცა მერსისაიდელთა ასაღები სისხლი „მანჩესტერმა“ თავად აიღო, ლივერპულის მეორე გუნდიც დაჩაგრა 1:0 და თასიც შეათამაშა.

ეს ყველაფერი ადრე იყო. ხვალ რა იქნება, არავინ იცის. პრემიერლიგის ბოლო ტურში ორივემ დაიქუხა. „იუნაიტედმა“ სტუმრად „ლესტერი“ არ დაინდო 6:2, „ლივერპულმა“ კი „საუთჰემპტონი“ 7:1. ორივე გუნდის თითო ფეხბურთელმა ჰეთ-თრიქი შეასრულა — დუაიტ იორკმა და რობი ფაულერმა გაიტანეს სამ-სამი.

სწორედ მათ უნდა გამოიღონ ხელი ხვალ, რათა საუკუნოვან მეტოქეობას ხიბლი არ მოაკლდეს. მინდორზე სხვებსაც ვიხილავთ, ვარსკვლავი რომ ჰქვიათ დღესდღეობით — ოუენი, მაკმანამანი, გიგზი, სქოულზი, ინსი, კოული, რიდლე. არ გეგონოთ, დევიდ ბექემი გამოგვრჩა. არა, უბრალოდ, მას ტრავმა აქვს და ლამაზი ფეხბურთის მოყვარულთა სამწუხაროდ, ხვალ მშობლიურ „ოლდ ტრეფორდზე“ თავის ცნობილ „ქროსებს“ ვერ შეასრულებს.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ შეტევა უყვარს. „ლივერპულსაც“. ასოციაციის თასის თამაშები მოულოდნელობით არის ხოლმე სავსე. ასე რომ, ელოდეთ შეტევებს და სიურპრიზებს.

დავით კოვზირიძე

სარბიელის არქივიდან

მანჩესტერელი შავები — დუაიტ იორკი და ენდი კოული. ამ ბიჭებმა უკვე ბევრის დაფრენა მოასწრეს

ინტერვიუ ... ...



საუბარი ფულის გადახდისა და ხმათა ყიდვის შესახებ

იოზეფ ბლატერი მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვის იდეით არის შეპყრობილი. მისი ხორცშესხმისთვის ფიფას პრეზიდენტი ნიდაგს ამზადებს და ცდილობს, მთელი პლანეტის საფეხბურთო მეურნეობა ახალ რელსებზე გადაიყვანოს. ერთ-ერთ ნაბიჯად ბლატერს კლუბებისა და ნაკრებების ურთიერთობათა მოწესრიგება მიუჩნევია. კერძოდ, იგი თვლის, რომ ეროვნულმა ფედერაციებმა იმ კლუბებს, რომელთა ფეხბურთელებსაც საწვრთნელ შეკრებაზე იძახებს, ფული უნდა გადაუხადოს.

„ვგონებ, სამართლიანი იქნება, რომ მათ, ვინც მოთამაშეებს ხელფას უხდიან, ეროვნული ფედერაციებისგან კომპენსაცია მიიღონ. ფედერაციები ხომ ამ გუნდების ფეხბურთელებს იყენებენ და ამისათვის საზღაური უნდა გაიღონ“ — განაცხადა მსოფლიო ფეხბურთის პირველმა პერსონამ.

ამ განცხადებით მან კლუბების გულის მოგებაც სცადა. საქმე ის გახლავთ, რომ მდიდარ კლუბებს მაინცდამაინც არ ეპიტნავათ მსოფლიოს ჩემპიონატების ორწლიან ციკლზე გადასვლის იდეა, რადგან აურაცხელ შეჯიბრებებს ისინი ბევრი მოთამაშის შეძენით და დიდი ხელფასების გადახდით აუდიან, ასეთ პირობებში კი მსოფლიოს პირველობათა გახშირება მათ მძიმე ტვირთად დააწვებათ.

არის კიდევ ერთი, თან საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობაც. ქვეყნად ბევრი ღარიბი ქვეყანაა, რომელთა ფეხბურთის ფედერაციებს კლუბებისთვის დიდი საკომპენსაციო თანხების გადახდა ძალიან გაუჭირდებათ, თუმცა ბლატერი სხვა აზრისაა. იგი ამბობს:

„ეს იდეა საფეხბურთო სამყაროს უდიდესმა ნაწილმა დიდი ენთუზიაზმით მიიღო. გამონაკლისი ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ლიგები და კლუბები გახლავან. ისინი შიშობენ, რომ ფეხბურთელები მნიშვნელოვანწილად ეროვნული გუნდების განკარგულებაში გადავლენ“.

შვეიცარიელმა პრეზიდენტმა სასტიკად იუარა, რომ მსოფლიოს გახშირებული პირველობა მოთამაშეებს ზედმეტ ტვირთად დააწვებათ. პირიქით, მისი განცხადებით ორწლიან ციკლზე გადასვლა შეამცირებს შესარჩევი თამაშების რაოდენობას და სიხშირის წილ ხარისხს აამაღლებს.

„ჩვენ მსოფლიოს საფეხბურთო კალენდრის ჰარმონიზაცია გვმართებს. უნდა შევამციროთ გულშემატკივრებისთვის უინტერესო მატჩების რიცხვი და არ უნდა დავუშვათ რაოდენობის მიერ ხარისხის დაკნინება“ — თქვა მან.

არადა, ევროპის პატარა ქვეყნებს შესარჩევი ციკლების ჯერ არსებული სისტემა საშუალებას აძლევთ ძლიერ ნაკრებებს შეეჯიბრონ, ხოლო რა იქნება მომავალში, ეჭვნარევი ბურუსითაა მოცული. პრეზიდენტის გეგმის თანახმად, მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ისევ 32-მა გუნდმა უნდა ითამაშოს.

ევროპელთა დასაშინებლად ბლატერის ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი გახლავთ ის, რომ ოთხწლიანი ციკლის დატოვების შემთხვევაში „ბებერ კონტინენტს“ მსოფლიოს პირველობის მასპინძლობა 24 წელიწადში ერთხელ მოუწევს, რადგან ფიფა თავის ექვს კონფედერაციას მორიგეობით უპირებს შეჯიბრების ნდობას.

„წესით, ევროპელ გულშემატკივარს ეს არ უნდა ესიამოვნოს“ — იმუქრება შვეიცარიელი.

„ერთი სიტყვით, ყველაფერი სოლიდარობაზეა დამოკიდებული. ვისაც ბევრი აქვს, ვალდებულია, გაუნაწილოს მას, ვისაც უჭირს. აბა გადახედეთ დიდ ევროულ კლუბებს. ნახავთ, რომ ფეხბურთელების კარგა დიდი ნაწილი სხვა კონტინენტიდან არის და მათ სამშობლოს სახელით ასპარეზობაც სურთ. შესაბამისად, ჩვენ ბალანსის გამოძებნა გვმართებს. ჩემი მიზანია, პრობლემების დიალოგით მოწესრიგება. კონფრონტაცია არას მარგებს“ — დასძენს ის.

მსოფლიოს პირველობათა ორ წელიწადში ერთხელ ჩატარება მაინც მომავლის საქმეა, სადღეისო თავსატეხი კი ისაა, ვინ უნდა უმასპინძლოს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, ბრაზილიამ, ინგლისმა, ეგვიპტემ, გერმანიამ, განამ, მაროკომ, ნიგერიამ თუ სამხრეთმა აფრიკამ? ფიფამ ამ კითხვას პასუხი გაისად მარტში უნდა გასცეს. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მექრთამეობის სკანდალითაა მოცული. საქმე ზამთრის თამაშების სოლტ ლეიკ სიტისთვის მინდობის სამართლიანობას ეხება. ასეთი რამ ფეხბურთში არ უნდა განმეორდეს და ამასთან დაკავშირებით ბლატერი ამბობს, რომ ოლიმპიურ კომიტეტთან შედარებით ფიფაში გაცილებით ცოტა ადამიანი წყვეტს, ვინ უნდა უმასპინძლოს შეჯიბრებას, რაც ხმების ყიდვის რისკს ამცირებს.

„ცხადია, ჩვენ ამ საკითხს დიდ ყურადღებას ვაქცევთ, მით უფრო ახლა, როდესაც 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობა უნდა დავასახელოთ“ — ბრძანებს ბლატერი.

ჯერჯერობით 2006 წლის ჩემპიონატთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი, მაგრამ სერიოზული სკანდალი იყო. ლაპარაკია ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი შეფის თანამდებობიდან გადადგომაზე. ამ ხალხმა ინგლისელი ჩინოვნიკის ფიფას აღმასკომში შესაყვანად უელსის ფეხბურთის ფედერაციას ხმის სანაცვლოდ ფული შესთავაზეს.

ბლატერი ამბობს, რომ ფიფას აღმასკომში 2002 წლის პირველობის იაპონიისა და კორეისთვის მინდობის დროს 21 წევრი იყო, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება კი 114 ადამიანზე გახლდათ დამოკიდებული.

„21 ადამიანი მცირე ჯგუფია, რომლის კონტროლიც 114-თან შედარებით მართლაც იოლია. 24 წელიწადია, ფიფაში ვმუშაობ და ერთხელაც არ მსმენია ვინმეს ხმის ყიდვაზე რაიმე წამოცდენოდეს“ — დაგვირგვინა ბლატერმა.

პაპუნა კედია

სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარია “CROCO”

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი

23 იანვარი			
უოტფორდი — ვესტ ბრომვიჩი	1,8	2,9	4,2
ინგლისის თასი. III წრე			
23 იანვარი			
ნოთს ქაუნთი — შეფილდ იუნაიტედი	2,8	2,9	2,3
ინგლისის თასი. IV წრე			
23 იანვარი			
ასტონ ვილა — ფულემი	1,2	5,0	9,0
ბლექბერნი — სანდერლენდი	1,6	3,0	5,6
ევერტონი — იფსვიჩი	1,5	3,2	6,5
ლესტერი — ქოვენთრი	1,5	3,2	6,5
ნიუკასლი — ბრედფორდი	1,4	3,5	7,0
პორტსმუთი — ლიდსი	6,5	3,2	1,5
შეფილდ უენსდეი — სტოკპორტი	1,2	5,0	9,0
სუონსი — დერბი	5,3	3,1	1,6
ბარნსლი — ბორნმუთი	1,2	5,0	9,0
უიმბლდონი — ტოტენჰემი	2,4	2,8	2,7
რექსჰემი — ჰადერსფილდი	3,6	2,9	1,9
24 იანვარი			
მანჩესტერი — ლივერპული (16⁰⁰)	1,8	2,8	4,4
ვულვერჰემპტონი — არსენალი	6,0	3,3	1,5
25 იანვარი			
ოქსფორდი — ჩელსი	8,0	4,4	1,25

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XVIII ტური

24 იანვარი			
ბოლონია — მილანი	2,2	2,8	3,1
ემპოლი — ფიორენტინა	3,8	2,8	1,9
ინტერი — კალიარი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
იუვენტუსი — პერუჯა	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ლაციო — პიაჩენცა	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
სალერნიტანა — რომა	3,5	2,8	2,0
სამპდორია — უდინეზე	1,9	2,8	3,8
ვენეცია — ბარი	2,5	2,9	2,5
ვიჩენცა — პარმა	3,8	2,8	1,9

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XIX ტური

23 იანვარი			
მონცა — ატალანტა	2,6	2,7	2,6
24 იანვარი			
ბრეშა — პესკარა	1,9	2,8	3,8
ჩეზენა — კოზენცა	2,3	2,8	2,9
კრემონეზე — ნაპოლი	5,0	2,9	1,7
ფ. ანდრია — ტერნანა	2,3	2,7	3,0
ლეჩე — კიევო	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,7
ლუკეზე — რევჯანა	1,9	2,7	4,0
რევჯინა — ტორინო	3,3	2,6	2,2
ტრევიზო — რავენა	1,6	2,9	6,0
ვერონა — ჯენოა	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,7

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIX ტური

23 იანვარი			
ბილბაო — ბეტისი	1,6	2,8	6,5
24 იანვარი			
ბარსელონა — სარაგოსა	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
ვალიადოლიდი — რასინგი	2,0	2,8	3,5
ვილიარეალი — ესტრემადურა	1,5	3,3	6,0
დეპორტივო — რეალი	2,6	2,8	2,5
ატლეტიკო — სელტა	1,9	2,9	3,6
მალიორკა — ვალენსია	1,8	2,8	4,4
ტენერიფე — სალამანკა	1,6	3,2	5,0
ოვიედო — ესპანიოლი	1,7	2,9	5,0
სოსიედადი — ალავესი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,7

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXI ტური

23 იანვარი			
ბარსელონა B — ლას პალმასი	4,4	3,1	1,7
ლეგანესი — ლოგრონიესი	2,3	2,7	3,0
ორენსე — კომპოსტელა	3,5	2,8	2,0
24 იანვარი			
ტოლედო — ეიბარი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,7
ალბასეტე — სპორტინგი	1,9	2,8	3,8
ერკულესი — მალიორკა B	2,2	2,8	3,1
ოსასუნა — ატლეტიკო B	1,5	3,2	6,5
ბადახოსი — რაიო ვალეკანო (15⁰⁰)	2,9	2,8	2,3
მერიდა — ლეიდა	2,2	2,8	3,1
რეკრეატივო — ნუმანსია	2,6	2,7	2,6
სევილია — მალაგა	2,2	2,8	3,1

საფრანგეთის თასი. III წრე.

23 იანვარი			
ფკ პარიზი (III) — ლორიანი	6,0	3,3	1,5
ტრუა (II) — მონპელიე	6,0	3,3	1,5
რენი — კულენი (V)	1,05	8,0	14,0
ლიონი (IV) — ბასტია	8,0	4,4	1,25
მეცი — ბორდო	2,5	2,9	2,5
არმენტიერი (IV) — ლანსი	9,0	5,0	1,2
ჟურასუდფუტი (V) — ტულუზი	8,0	4,4	1,25
ბლანიაკი (V) — ლე ავრი	9,0	5,0	1,2
ამიენსი (II) — მონაკო	7,0	3,8	1,35
შატორუ (II) — ლიონი	6,0	3,3	1,5
ლაროში (IV) — ნანტი	9,0	5,0	1,2
ლავალი (II) — ნანსი	4,0	3,0	1,8
მარსელი — ოსერი	1,4	3,5	7,0

პორტუგალიის ჩემპიონატი. XIX ტური

23 იანვარი			
შავეში — სპორტინგი	4,0	3,0	1,8
ბენფიკა — რიუ ავე	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
ბოავიშტა — ალვერკა	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
24 იანვარი			
სეტუბალი — ამადორა	2,4	2,8	2,7
პორტუ — ბეირა მარი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
სალგეირუში — მარიტიმუ	1,6	3,3	4,7
კამპომაიორენსე — აკადემიკა	1,7	3,0	4,7
25 იანვარი			
ბრაგა — ფარენსე	1,7	3,0	4,7

ბელგიის ჩემპიონატი. XXI ტური

23 იანვარი			
ლომელი — ბრიუგე	6,0	3,3	1,5
სენტ ტრუიდენი — ეკერენი	1,9	2,8	3,8
ოსტენდე — კორტრაიკი	1,9	2,9	3,6
ლიერსი — შარლერუა	1,5	3,2	6,5
ლოკერენი — ბეგერენი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ანდერლეხტი — ვესტერლო	1,5	3,2	6,5
24 იანვარი			
აალსტი — გენტი	2,4	2,8	2,7
ჰარლბეკი — მუსკრონი	2,5	2,9	2,5

შოტლანდიის თასი. III წრე

23 იანვარი			
მორტონი (I) — დანდი	3,4	2,9	2,0
აირი (I) — კილმარნოკი	5,0	3,2	1,6
პარტიკ თისლი (II) — დანფერმლაინი	5,3	3,1	1,6
სენტ ჯონსტონი — ფორფარი (II)	1,1	6,0	12,0
სელტიკი — ეირდრენიანსი (I)	1,05	8,0	14,0
რეინჯერსი — სტენჰაუსმური (III)	1,05	8,0	14,0
აბერდინი — ლივინგსტონი (II)	1,15	5,6	10,0
24 იანვარი			
მოზერველი — ჰარტსი	2,1	2,8	3,3

აფრიკის თასი. II ტური

23 იანვარი			
განა — მოზამბიკი	1,25	4,4	8,0
ერითრეა — კამერუნი	3,2	2,9	2,1
სიერა ლეონე — ტოგო	1,8	3,0	4,0
სენეგალი — ბურკინა ფასო	2,0	2,9	3,4
ნიგერია — ბურუნდი	1,1	6,0	12,0
ლიბერია — უგანდა	1,6	3,0	5,6
24 იანვარი			
გვინეა — მაროკო	3,1	2,8	2,2
კონგო — მალი	1,3	4,0	7,5
კოტ დივუარი — ნამიბია	1,25	4,4	8,0
ანგოლა — გაბონი	1,6	3,0	5,6
მავრიკი — სამხრეთ აფრიკა	5,3	3,5	1,5
მადაგასკარი — ზამბია	2,4	2,9	2,6
კონგო — კენია	1,6	3,0	5,6

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ავადმყოფი როსე ქურაციკივით დარბოდა

პატრიკ რაფტერი მშობლიურ ავსტრალიაში უბრალო სპორტული კერპი არ არის — კინო თუ როკ-ვარსკვლავების მსგავსად მისი სურათები მოდის ჟურნალების ყდაზე იბეჭდება, ქუჩაში რომ მიდის, ლამის მოძრაობა ჩერდება. თამაშისას კი მისი მაისურის შეცვლას მაყურებლის მხრიდან სტვენა და შეძახილები ახლავს თან.

ამბერ რამდენიმე წელია, ავსტრალიური მასმედია იმაზე ბჭობს, როდის და როგორ მოიგებს ეროვნული გმირი მშობლიური დიდი სლემის ტურნირს, მაგრამ რაფტერი თავისიანთა გახარებას ვერაფრით ახერხებს — საბედისწერო ამჯერად ტომას ენკვისტთან მესამე წრის შეხვედრა გამოდგა, რომლის შემდეგაც ტრიბუნებზე მყოფმა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა სლუკუნი მორთეს, მამაკაცებმა კი ხელებში ჩარგეს თავები.

შვედი რომ კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, არავის გაკვირვებია — მან იანვარში ორი ტურნირისა და ათივე გამართული მატჩის მოგება მოასწრო, მაშინ, როცა, კიკინიანი ოზი მეორე წრეს არ გასცილებია.

სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის მიუხედავად, რაფტერი ცუდად სულაც არ ირჯებოდა, რაზეც 21 ეისი და ბადესთან ლამაზი დარტყმებით მოპოვებული უამრავი ქულაც მოწმობს, მაგრამ ერთ დროს საუკეთესო ათეულელი ენკვისტის შეჩერება მაინც შეუძლებელი გამოდგა: მისი ღრმა და ძლიერი მეორე მოწოდებები ავსტრალიელს წინ გასვლის შესაძლებლობას უსპობდა, უკანა ხაზიდან კი სკანდინავიელი გაცილებით დიდ ძალას წარმადგენდა.

გადამწყვეტი მეოთხე სეტის მეშვიდე გეიმი აღმოჩნდა — რამდენიმე ბრეიკპოინტის გადარჩენის შემდეგ რაფტერს ნერვებმა უმტყუნა, ორმაგი შეცდომა დაუშვა და საკუთარი მოწოდება დათმო, რისი ანაზღაურებაც ვეღარაფრით მოახერხა. საერთოდ, მატჩში სულ ოთხი ბრეიკი დაფიქსირდა, თითო თითო სეტში, საბოლოოო ანგარიში კი 6:4, 4:6, 6:4, 6:4-ია შვედის სასარგებლოდ.

„ვერაფერი გავაწყვე, დღეს ტომასი ჩემზე აშკარად ძლიერი იყო — განაცხადა მატჩის შემდეგ ავსტრალიელმა — არა უშავს, ტურნირი გაისადაც გაიმართება. სამწუხაროდ, ქალების ჩოგბურთისგან განსხვავებით, ჩვენთან უამრავი საუკეთესო ათეულია, რომლებიც ამჟამად საუკეთესო ათეულში არ იმყოფებიან".

მესამედ განთესილ რაფტერზე რამდენიმე საათით ადრე ტურნირმა ინგლისელი ტიმ ჰენმანიც მოისაკლისა. მეექვსედ განთესილისთვის გადაულახავ ბარიერად 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი მარკ როსე, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის 14 ეისი და უძლიერესი ფორჰენდები იქცა.

ორმეტრიანი შვეიცარიელი მატჩს საუკეთესო მდგომარეობაში არ შეხვედრია — ტურნირის დასაწყისიდან ტრავმირებული მხრის გამო გამაყუჩებლების და ანთების საწინააღმდეგო აბების ყლაპვა უხდებოდა, ამჯერად კი ამას კუჭის ტკივილიც დაერთო.

ასე რომ, როსეს გამძლეობით ჰენმანი განცვიფრებული დარჩა: „მეგონა, ეს-ესაა მხარი თამაშში შეუშლიმეთქი ხელს, მაგრამ მაშინვე 200, 205 კმ/სთ-იან მოწოდებას გამოუშვებდა. ბოლო სეტში ერთხანს თითქოს მოძრაობა უჭირდა, მაგრამ ორიოდ წუთში ქურციკივით დარბოდა".

ორსაათნახევრიან მატჩში „ავადმყოფმა" 7:6 (7:5), 6:3, 7:5 მოიგო, მერე კი აღნიშნა, ცოტა მეტად გამიმართლა, თორემ ჩემსა და ტიმს შორის განსხვავება ბევრი არაფერი იყოო.

კაცები. მესამე წრე: კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:2, 6:3, 6:2; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — რიჩარდ კრაიჩეკი (9, ჰოლანდია) 6:7 (1:7) 6:7 (5:7), 6:4, 6:2, 6:3; მარკ ფილიპუსისი (14, ავსტრალია) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 3:6, 6:3, 6:4, 6:1; ბოგდან ულირახი (სლოვაკეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 1:6, 6:3, 6:2, 6:3; ენდრიუ ილი (ავსტრალია) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) 6:2, 6:2, 6:4;

მესამე წრე უკანასკნელი აღმოჩნდა უიმბლდონის ჩემპიონ იანა ნოვოტნასთვის (3).

ვეტერანმა ჩეხმა მელბურნის ტურნირი აქამდე ზედიზედ სამჯერ გამოტოვა, მაგრამ უიმბლდონზე წარმატებით ასპარეზობამ სხვა სლემებზე გამარჯვების იმედიც გაუჩინა.

როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად: ნოვოტნამ გრძელი სახელის გარდა არაფრით გამორჩეული ესპანელ მარია ანტონია სანჩეს ლორენსოსთან 3:6, 0:6 წააგო, თანაც ურიცხვი უნებლიე შეცდომის გამო მეორე სეტში სულ 8(!) ქულის მოპოვება მოახერხა.

„წარმოდგენა არა მაქვს, რა მოხდა, თავს კორტზე უმწეოდ ვგრძნობდი. არის მატჩები, რომლებსაც ცუდად იწყებ, მაგრამ თანდათან უმატებ, ამჯერად კი პირიქით მოხდა, ცუდად დავიწყე და თანდათან სულ უფრო უარესად ავთამაშდი" — აღნიშნა ჩეხმა მოგვიანებით.

რაც შეეხება კლასიფიკაციით 65-ე, 21 წლის ლორენსოს, მელბურნს წვეული 18 თანამემამულისგან იგი ტურნირს ერთადერთიღა შემორჩა: „ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მსგავსი რამე მოხდებოდა, ან მეოთხე წრეში ნოვოტნასთანა ჩოგბურთელის დამარცხებით გავაღწევდი".

სამაგიეროდ, შავკანიან ამერიკელ ვინუს უილიამსს პირველი წრის უმძიმესი შეხვედრის შემდეგ აღარაფერი უჭირს. ამჯერად 18 წლის ვენერამ რუმინული რუქსანდრა დრაგომირი დამარცხა 6:3, 6:4.

შარშან ამ დროს ვინუსი სეზონის ბოლოს მსოფლიოს პირველ ჩოგნობას უმიზნებდა, მაგრამ გასულმა წელმა მას ბევრ რამეზე აუხილა თვალი: „განცდილი წაგებები კარგ გაკვეთილად გამომადგა. ახლა ვფიქრობ, რომ საუკეთესოთა ხუთეულში ყველა თანაბარი დონისაა. იმისათვის, რომ პირველობაზე პრეტენზია განვაცხადო, ბევრი შრომა და სტაბილურობა, გარკვეული კომპონენტების გაუმჯობესება მჭირდება".

ქალები მესამე წრე: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:0, 6:4; ემილი ლუა (საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (9, ესპანეთი) 7:5, 6:1; დომინიკ ვან რუსტი (11, ბელგია) — იანა ნეიდლი (კანადა) 6:1, 6:1; ჩანდა რუბინი (აშშ) — ნატაშა ზვერევა (15, ბელარუსი) 7:6 (7:3), 4:6, 6:4; ამელი მორესმო (საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 6:3;

ავთანდილ სვანიძე

REUTERS მელბურნიდან

მარკ როსე

REUTERS მელბურნიდან

ვინუს უილიამსი



REUTERS მელბურნიდან

ჯონ მაკინროი

წლევანდელ უიმბლდონზე შერეული წყვილების ასპარეზობაში შეიძლება ერთი მეტად საინტერესო, შტეფი გრაფისა და ჯონ მაკინროისგან შემდგარი დუეტი ვიხილოთ.

თანამშრომლობის სურვილი პირველად მაკინროის გამოუმჟღავნებია. ლონდონში მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, შტეფი ჟენევაში საჩვენებელი ტურნირის დროს ვნახე და ერთად თამაში შევთავაზეო.

ოლონდ საქმე ის არის, რომ ამის შესახებ თავად გრაფს არაფერი ახსოვს: „დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ რომ ეთქვა, აუცილებლად გავიხსენებდი, თუმცა ეს იდეა აშკარად მომწონს. ჯონი ყოველთვის ჩემი საყვარელი ჩოგბურთელი იყო. ხშირად მითქვამს, მასთან ერთად თამაში მსურს-მეთქი, ასე რომ, თუ იგი სერიოზულად ფიქრობს ამაზე, შესაძლებლობას ხელიდან არაფრით გავუშვებ".

* * *

ზემოხსენებული ჯონ მაკინროი ამ დღეებში ჩოგბურთის დიდების დარბაზშიც მოხვდა, სადაც იგი წყვილების დიდი სლემის მომგებ ავსტრალიელ კენ მაკგრეგორთან ერთად აირჩიეს.

მაკინროის ხანგრძლივ კარიერაში ბევრი მიღწევაა გამოსაყოფი — 4 ამერიკის ღია პირველობისა და სამი უიმბლდონის ტიტული, 10 დიდი სლემის ტურნირის ტიტული წყვილებში, 77-77 გამარჯვება ერთეულებისა და წყვილების ტურნირებზე. 1980 წელს 21 წლისა და 15 დღის ასაკში ამერიკელი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს პირველი ჩოგანიც გახდა.

ყველა დროის უდიდეს შარისთავს ყურადღების ცენტრში ყოფნა არც ამჟამად უჭირს — მისმა მუდმივმა თავდასხმებმა მსაჯებიდან ახლა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაზე, ATP ტურზე, დევისის თასის ფორმატზე, პროფესიონალ ჩოგბურთელებსა თუ ყველა ღირებულ თუ ულირს საკითხებზე გადაინაცვლა.

„ყველა დიდი ჩოგბურთელის თამაშის სტილს მოგვიანებით ბაძავდნენ, მაგრამ მე ნამდვილი მემკვიდრე რატომღაც არ მყოლია, რაც აშკარად დიდი სირცხვილია — განაცხადა თავმდაბლობით არცთუ გამორჩეულმა ამერიკელმა საზეიმო ცერემონიალზე — ამბობდნენ, მაკინროის დიდი იარაღი არ ჰქონიაო, სამაგიეროდ, თამაშის ყველა კომპონენტს სრულყოფილად ვფლობდი".

* * *

და ისევ ჯონ მაკინროის შესახებ.

როგორც იცით, მისმა განცხადებამ, რომ ახლანდელი პროფესიონალების უმეტესობას 39 წლისაც დაამარცხებდა, ბევრის აღშფოთება გამოიწვია. არანაკლებ შერეკილმა ჯეფ ტარანგომ კი სულაც 200 000 დოლარიანი მატჩის გამართვა შესთავაზა მისი მცდარობის დასამტკიცებლად.

„ვფიქრობ, ეს მატჩი ჩოგბურთს წაადგება და ბევრს დაინტერესებს — განაცხადა 30 წლის კლასიფიკაციით 72-ე ამერიკელმა — მე მეტი ფულის დადებაზეც თანახმა ვიყავი, მაგრამ ჩემი ცოლი მათ ისე ხარჯავს, ასე შეიძლება სიცოცხლის ბოლომდე ვალებში ჩავვარდე".

როგორც აღმოჩნდა, მაკინროი ივლისამდე მაინც ვერ მოიცლის სათამაშოდ, მანამდე კი ამ მატჩმა ჩოგბურთელთა დიდი ყურადღებაც მიიპყრო. ანდრე აგასი იმდენად ყოფილა დარწმუნებული მაკინროის უპირატესობაში, რომ ტარანგოსთვის თავის მხრივ 100 ათასზე დანიძლავება შეუთავაზებია.

ზემოხსენებული მიზეზების გამო ამერიკელი ერთი ხანობა უარზე იყო, მაგრამ მხსნელად, როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, კიდევ ერთი „ცუდი ბიჭი" — მარსელო რიოსი მოევლინა, რომელიც ტარანგოს ნაცვლად დათანხმდა 100 ათასის დადებას.

* * *

მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასს, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობას გადაღლილობის გამო აცდენს, ევგენი კაფელნიკოვისგან არ აწყენდა მაგალითის აღება.

ATP ტურის მიერ გამოქვეყნებული 1998 წლის შედეგების მიხედვით სოჭელი ჟენია ნამდვილი რკინის კაცი აღმოჩნდა — მან სეზონში 150 მატჩი გამართა — 27-ით მეტი მეორე ადგილზე მყოფ პატრიკ რაფტერზე.

სამპრასი მხოლოდ მეათე ადგილზეა 82 შეხვედრით და ამავე დროს საუკეთესო ათეულიდან ერთადერთია, რომელიც თავისი ქვეყნის სახელით დევისის თასზე არ ასპარეზობდა.

„მიყვარს ბევრი თამაში, ბევრ ტურნირზე მონაწილეობა. ყოველი მოგებული მატჩი ჩემთვის სტიმულია კორტზე დასაბრუნებლად და საპაექროდ. ასეთია ჩემი ცხოვრების, თამაშის სტილი და ფიზიკურადაც მზად ვარ ამისთვის" — ახსნა ჟენიამ.

* * *

გასული სეზონის ბოლოს ჩოგბურთის სამყაროში ძლიერი სქესის ყოფილი ფავორიტის, არგენტინელი გაბრიელა საბატინის დიდ სპორტში დაბრუნებაზე დაიწყეს საუბარი.

თუმცა თავად „გაბის" კორტზე ოფლად დაღვრა თურმე სულაც აღარ იტაცებს — საკუთარი სუნამოსა და ფაიფურის თოჯინის გამოშვების შემდეგ იგი თურმე მომღერლის კარიერაზე ოცნებობს: „ძალიან მინდა, ამ ახალ გამოწვევასაც წარმატებით გავართვა თავი. რამდენიმე სიმღერა უკვე მზადაც მაქვს".

საბატინის ალბომებს რომ უამრავი კაცი მყიდველი გამოუჩნდება, ამაში დაეჭვებაც კი არ ღირს.

ვლადიმერ სტეფანია:

სიეტლთან კონტრაქტის დადება კარტოფილის ყიდვა არ არის

ამ ბოლო ხანს არაერთხელ გაუწყეთ ამერიკული „სიეტლ სუპერსონიქსის“ ქართველ რჩეულ ვლადიმერ სტეფანიაზე. მას შემდეგ, რაც ნბა-ში ლოკაუტი დამთავრდა, ჩვენებური ოკეანისგაღმა გაფრინდა და სიეტლში დაბინავდა. კალათბურთის ქომაგთათვის, ბუნებრივია, ვოვას თითოეული ნაბიჯიც კი განსაკუთრებით საინტერესო გახდა, ჩვენც ხელი არ დაგვიკლია ტელეფონისთვის, არაერთხელ ვცადეთ, ვოვას მოხელეთება და გუშინ, როგორც იქნა, ბედმა გაგვიღიმა...

ბადრი კვირელაძის ფოტო

ვლადიმერ სტეფანიას მეტი სიდინჯე და დაფიქრება მართებს

— ვოვა, როგორც იქნა, მოგიხელთეთ. ერთი სული გვაქვს, შენზე რაიმე ახალი შევიტყოთ. ყველაფერი გვაინტერესებს, უპირველესად კი ეს — კონტრაქტი თუ გააფორმე?

— კონტრაქტი გამზადებულია. ჩემი ხელმოწერაღა აკლია.

— მერე, რაღას უცდი? მოაწერე და ეგაა...

— არც მთლად ასე იოლია ეს საქმე. ბაზარში კარტოფილის ყიდვა ხომ არ არის... ყველაფერს დაფიქრება და აწონ-დაწონვა უნდა. 300-გვერდიანი კონტრაქტია უამრავი პუნქტით. ახლა უნდა ვათარგმნინო და სანამ ყველაფერში თავად არ გავერკვევი, არ გამოვა ეგ საქმე.

— არა მგონია, მაგდენი საფიქრალი იყოს. თავად არ იძახდი, ოღონდ „ოლიმპიას“ თავი დავაღწიო და „სონიქს“ დაუფიქრებლად მოვუწერ ხელსო?

— მაგას მართლაც ვიძახდი, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ. ბოლო-ბოლო, ჩემი ცხოვრებისა და კარიერის ბედი წყდება. მეტი სიდინჯე და საზრიანობაა საჭირო.

— თუ არ ვცდები, ოთხწლიანს გთავაზობენ...

— ეგრეა. მინიმალურ სამწლიანს ერთსაც ამატებენ. თან, პირობებსაც გაგიუმჯობესებთო, მპირდებიან. ახლა სწორედ ამ საკითხზე მუშაობს ჩემი მენეჯერი. ალბათ შეპირებულ თანხას ოც პროცენტსაც წაამატებენ.

— შენი ვარაუდით, სიეტლელი როდის გახდები?

— დიდი-დიდი, ორ-სამ დღეში. ვფიქრობ, ხვალზეგ ყველაფერი დამთავრდება და... ესენიც ძალიან მაჩქარებენ. თუ ოფიციალური მხარე არ მოვაგვარე, გუნდთან ვარჯიშის უფლებაც არ მექნება.

— მაშ, ახლა გუნდთან ერთად არ ვარჯიშობ?

— როგორ არა. უფრო სწორად, გუნდთან ერთად, მაგრამ მაინც მარტო. მწვრთნელები მითითებებს ჯერ არ მაძლევენ, კონტრაქტი გააფორმეო. ისე, მიდი და რამდენიც გინდა ივარჯიშე, არავინ გიშლის.

— თავად „სონიქსი“ როგორ ემზადება სეზონისთვის?

— ორჯერადი ვარჯიშებია. დილით ცხრიდან თორმეტამდე, საღამოს ექვსიდან ცხრამდე. დატვირთები, იცოხლეთ, დიდია, მაგრამ, ვფიქრობ, არ უნდა გამიჭირდეს. რამდენჯერმე ორმხრივ თამაშშიც ჩამრთეს და, როგორც მითხრეს, არცთუ ურიგოდ გამომსვლია. ბურთიც ჩავაგდე, ფარზეც კარგად ვიმუშავე. ეგაა, ცოტა ფიზიკურად მჩაგრავენ, მაგრამ ამასაც მოევლება.

გუნდში სულ ოცი კალათბურთელია. თითოეულ პოზიციაზე სამი-ოთხი კაცი მიდის და, შესაბამისად, კონკურენციაც დიდია.

— შეკრებაზე წასვლას ხომ არ გეგმავენ?

— არა, სიეტლში მოემზადებიან. მეც იქვე ვცხოვრობ. ჩემი სასტუმრო ახლოა დარბაზთან და ფეხით მივდივარ ხოლმე.

— ბინის მოცემას არ აპირებენ?

— ვერ გეტყვი. ამაზე ჯერ არ გვისაუბრია. მომცემენ, აბა, რას იზამენ. მეც ძალიან მინდა, საკუთარი ბინა მქონდეს. სასტუმროში ძალიან გამიჭირდა. მართალია, ყველაფერი მაღალი დონისაა, მაგრამ რესტორანი არ მომწონს მაინცდამაინც. უფრო კი ის კერძები, აქ რომ ამზადებენ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, როგორ ფიქრობ, მოგიწევს წლეულს რეგულარულ ჩემპიონატში თამაში?

— წინასწარ რა გითხრათ?! ვნახოთ, ყველაფერი მომავლის საქმეა. თუმცა, რატომაც არ უნდა მათამაშონ?! წესით, უნდა მომიწიოს, მაგრამ არა მგონია, ხშირად დამაყენონ შემადგენლობაში...

ვლადიმერ სტეფანიასთან საუბრის გაგრძელებას კვლავაც ვაპირებდი, მაგრამ ვოვამ ბოდიში მოიხადა, ვარჯიშზე მიმეჩქარება, დანარჩენი სხვა დროს იყოსო და დამემშვიდობა.

გიორგი ბიკაშვილი

სპრიუელის გადასვლით ყველა კმაყოფილია

დიდი ვაჭრობა გააჩაღეს აღმოსავლურმა „ნიუ იორკ ნიქსმა“ და დასავლურმა „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“. ამ უკანასკნელს ერთი სული ჰქონდა, თავიდან მოეშორებინა ლიდერი და უპირველესი ვარსკვლავი ლატრელ სპრიუელი. გასულ სეზონში, 1 დეკემბერს „ვორიორზის“ მწვრთნელმა ფი. ჯეი. კარლესიმომ სპრიუელი ძირითად ხუთეულში არ დაყენა. გაცეცხლებულმა კალათბურთელებმა მწვრთნელი მაგრად გალახა. კლუბმა ამ საქციელისთვის მაშინვე შეუწყვიტა სპრიუელს ოთხწლიანი კონტრაქტი. ნამ კი საერთოდ აუკრძალა იმ წელს კალათბურთის თამაში.

ასე თუ ისე, სპრიუელი უკვე ნიუიორკელია და ამით თვითონაც და მისი ახალი კლუბიც კმაყოფილნი არიან, თუმცა „ნიუ იორკს“ იგი იაფი სულაც არ დაუჯდა. სპრიუელის სანაცვლოდ სანფრანცისკოელებმა სამი მოთამაშე მიიღეს და არა ნაყარ-ნუყარი, არამედ ისეთი გამოცდილი კალათბურთელები, როგორებიც არიან პოპულარული უკანასკნელი ჯონ სტარქსი და თავდამსხმელები ტერი კამინგსი და კრის მილზი. ჯონ სტარქსი წლების განმავლობაში „ნიუ იორკის“ უძლიერესი უკანასკნელი იყო, მაგრამ სიბერემ იგი სათადარიგოებში გადაანაცვლა, თუმცა აქაც არ შეირცხვინა თავი და 1997 წელს წლის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის ტიტული მოიპოვა. ერთობ მოხუცდა ტერი კამინგსიც. ერთ დროს საკმაოდ ძლიერი კალათბურთელი სიბერეშიც არ ირჯებოდა ურიგოდ. საკმაოდ ძლიერია კრის მილზიც. ასე რომ, „გოლდენ სტეიტიც“ არ არის უკმაყოფილო თავისი ახალი შენაძენით და სიამოვნებით აციდებს სპრიუელს „ყველაფერს კარგს ვუსურვებთ ლატრელს თავის ნიუიორკულ კარიერაში და ბედნიერები ვართ ამ სამი ჯენტლმენის მოსვლით ჩვენს გუნდში“ — ამბობს „გოლდენ სტეიტის“ გენერალური მენეჯერი გარი სენტ-ჟანი.

სამი ოლ სტარის მონაწილე სპრიუელს კი შეიძლება გარკვეული პრობლემები შეექმნას ახალ გუნდში, რადგან მის ამპლაში ანუ მსროლელის პოზიციაზე აქ ალან ჰიუსტონი თამაშობს. კალათბურთის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ 196-სანტიმეტრიანი სპრიუელი ჩვეული, მსროლელის პოზიციის ნაცვლად მსუბუქ ფორვადის ანუ ჩვენებურად ფრთის პოზიციაზე ითამაშებს, რაც მისი ჯანის პატრონს ძალიან არ უნდა გაუჭირდეს.

ირაკლი ფირაშვილი

გადაღლილმა ხომერიკმა ვიცე-პრეზიდენტობა ახალგაზრდა დადიანს გადაულოცა

სხდომის მსვლელობამ კულმინაციურ წერტილს უწია, როდესაც შეხვედრის მიწურულს სიტყვა ფედერაციის პრეზიდენტმა, გოგი ქათამაძემ ითხოვა და...

— დღის წესრიგში გვაქვს ჩვენთვის, ყველასათვის უმნიშვნელოვანესი საორგანიზაციო საკითხი. საქმე ისაა, რომ ჩემი უდიდესი მცდელობის მიუხედავად, მისთვის აზრი შემეცვლევინებინა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი მაინც ტოვებს დაკავებულ თანამდებობას. იგი სთხოვს აღმასკომს, დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა და მიზეზად საპენსიო ასაკს ასახელებს. ამის შესახებ მას არაერთხელ ვესაუბრე. გუშინწინ ორი საათიც ვითათბირეთ, მაგრამ ხომერიკი კვლავაც თავისაზე დგას.

გუშინ ცეკავშირის შენობაში კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც აღმასკომის წევრებმა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს. ისედაც შეჭირვებულ ქართულ კალთბურთში განსასჯელ-განსაკითხი მართლაც ბევრი იყო. სამსაათიანი სჯა-ბაასიც ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზების ძიებაში წარიმართა, თუმცა...

მერწმუნეთ, ეს არავის ხელს არ აძლევს. ყოველივე თავად ვიცე-პრეზიდენტის ინიციატივაა, მაგრამ არ იფიქროთ, რომ იგი სულ მიდის კალათბურთიდან. ხომერიკი დარჩება ფედერაციის შემადგენლობაში აღმასკომის წევრად.

ქათამაძის ამ განცხადებას სამარისებული სიჩუმე მოჰყვა. მოულოდნელობისგან გაოგნებულ აღმასკომის წევრთაგან პირველმა მურმან ქურიძემ დაარღვია სიმყუდროვე:

— ათეული წლებია, რაც მე ხომერიკს ვიცნობ და არა მგონია, იგი საპენსიო ასაკის გულისთვის ტოვებდეს პოსტს. ამას წინათ ერთად ვიმსჯელეთ და პირდაპირ გავეოცდი მისი ფიზიკური შესაძლებლობებით. ხომერიკი მეტად პატიოსანი და თავმოყვარე ადამიანია და ძალიან წუხს ქართული კალათბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე. ამიტომაც საფიქრალია, რომ იგი გულმოკლული ტოვებს თანამდებობას, რადგანაც უძლურია ყოველივეს წინაშე. ერთიცაა, ხომერიკს წელიწადნახევარია, ხელფასი არ მიულია. იქნებ ამაზეც დავფიქრდეთ...

ამის შემდეგ თითქმის ყველა აღმასკომის წევრმა გამოთქვა თავისი აზრი. გამომსვლელები გულთბილ სიტყვებს არ იშურებდნენ ხომერიკის მისამართით და დარჩენას შესთხოვდნენ. ბოლოს კი თავად ვიცე-პრეზიდენტის ჯერიც დადგა:

— ორმოცდაათი წელი ვემსახურე კალათბურთს. ამ ხნის მანძილზე ცდა და ენერგია არ დამიკლია საყვარელი საქმისთვის, მაგრამ უკვე მორალურად აღარ შემიძლია. არც ჯანმრთელობა მიწყობს ხელს და აღარც ძველებურად მერჩის გული. საპრეტენზიო არავისთან არაფერი მაქვს. მე კვლავაც კალათბურთში ვრჩები. ვიმსჯელებ კიდეც ყველას გვერდში ამოგიდგებით, ჩემს გამოცდილებას გაგიზიარებთ. ეგაა, ვიცე-პრეზიდენტობას ვეღარ ვიკისრებ. ამ საქმეს სხვანაირი ენერგია სჭირდება. მე კი გადავიღალე.



ვარაზ დოლიძაშვილის ფოტო

გუშინ როლანდ ხომერიკმა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა

ხომერიკის ამ სიტყვებმა ყველა საბოლოოდ დააჯერა, რომ იგი შეუვალი იყო და აღარ გადათქვამდა. გოგი ქათამაძემ ისიც გაგვანდო, რომ აწ უკვე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი კალათბურთის აკადემიაში დასაქმდება, სადაც სასწავლო ნაწილის გამგეობას სთავაზობენ და სტაბილურ ხელფასსაც ჰპირდებიან.

–და დადგა ყველაზე საინტერესო მომენტი. საკითხავი იყო, ვინ გასწევდა ხომერიკის მაგივრობას. თუ დამაცდით, ამასაც მოგახსენებთო, თქვა ქათამაძემ და საზოგადოებას სენსაციური კანდიდატურა წარუდგინა. დიახ, სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს ახალგაზრდა დუდუ დადიანის კანდიდატურა. კაცი, რომელიც სულ ახლახან აქტიურ კალათბურთში იყო, დღეიდან ვიცე-პრეზიდენტის ამპლუაში მოგვევლინება. თუმცა დადიანმა ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად მოასწრო და მცირე ხნით სპორტის დეპარტამენტშიც საქმიანობდა, კალათბურთს კურირებდა.

— დუდუ დადიანს ამ თანამდებობაზე რეკომენდაციას უწევს სპორტის დეპარტამენტი და პირადად მისი თავმჯომარე კახი ასათიანი. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, დადიანი მომავალ ყრილობამდე ვიცე-პრეზიდენტი იქნება — განაცხადა გოგი ქათამაძემ და საბოლოო სიტყვის თქმა აღმასკომის წევრებს მიანდო.

ამ უკანასკნელთაც არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ შეთავაზებულ კანდიდატურაზე — ყველამ მოიწონა. ხომერიკმა თქვა, დუდუ უკვე რახანაა ჩემთან დადის, ვმსჯელობთ, აზრებს ვუზიარებთ ერთმანეთს და ასე თუ ისე, უკვე საქმის კურსშიაო. ისიც აღინიშნა, რომ დადიანი ინგლისურს კარგად ფლობს, რაზეც თამაზ ოქრუაშვილმა მოსწრებულად იხუმრა, აჰა, გვეშველა, ძლივს ფედერაციაში უცხოენის მცოდნე გვეყოლებაო.

ერთი სიტყვით, დუდუ დადიანს გზა დაულოცეს და წარმატებები უსურვეს ახალ ამპლუაში. ღმერთმა გაძლება მოგცეს, ხომერიკზე ნაკლები წლები არც შენ გემუშაოსო, უთხრა მავანმა, რასაც ქათამაძის მორიგი იუმორი მოჰყვა — სულ მოადგილედ ხომ არ ტოვებთ ამ კაცს, მერე პრეზიდენტიც გახდებაო.

თავად ახალდანიშნული ვიცე-პრეზიდენტი სულ მთლად ბოლოს ალაპარაკდ და ორიოდ წინადადებით შეგმოიფარგლა:

— დიდი მადლობელი ვარ ასეთი ნდობისათვის. მე აქ კალათბურთის სიყვანულმა მომიყვანა და მინდა მას ყველანაირად დავეხმარო. თუმცა გამოცდილება მაკლია და ამ მხრივ თქვენი მეიმედება.

დღეიდან დუდუ დადიანი უკვე ახალ კაბინეტში შევა და ამ მართლაც საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდება. საზრუნავი კი, ი

კოულმენი შარლოტში, დივაცი — ჰიუსტონში

21 იანვარს, ხუთშაბათს, ექვს თვეზე მეტხანს გაწელილი ლოკაუტი საბოლოოდ მორჩა და მოთამაშეებსა და კლუბებს საშუალება მიეცათ, გაცხოველებული ვაჭრობა გაეჩაღებინათ ერთმანეთში.

სწორედ ლოკაუტის ოფიციალურად დამთავრებას ელოდებოდნენ აღმოსავლური კლუბი „შარლოტ ჰორნეთსი“ და ექსფილადელფიელი თავდამსხმელი დერიკ კოულმენი. ლოკაუტის დამთავრებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ხელშეკრულებაც გაფორმეს, რომლის მიხედვით კოულმენი ექვსი წლის განმავლობაში 36 მილიონ დოლარს მიიღებს. თავისი ყოფილი მოთამაშის შენარჩუნება „ფილადელფიას“ ძლიერ სურდა და ხუთი წლის განმავლობაში 40 მილიონს სთავაზობდა, მაგრამ კოულმენმა უამბიციო გუნდში გაჩერება არ მოინდომა და გულმა შარლოტისკენ გაუწია. „მე ბედნიერი ვარ — ამოისუნთქა კოულმენმა „ფილადელფიასთან“ გაყრის შემდეგ — მაგრამ ამ ბოლო კვირებში დიდი მუშაობა მომიწევს.“ კოულმენი ლოკაუტმა ერთობ გააზარმაცა და ახლა იგი 125 კილოგრამს იწონის, რაც შვიდი კილოგრამით მეტია მის ჩვეულ წონაზე.

დერიკ კოულმენმა ნბა-ში თამაში 1990 წელს დაიწყო და სეზონის საუკეთესო ახალბედა გახდა. იგი ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ახალგაზრდად ითვლებოდა. კოულმენმა რამდენიმე ოლ სტარი ითამაშა და 1994 წელს კანადაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგო, „დრიმ თიმ II“-ის შემადგენლობაში. შემდგომში ტრანზიშიმ გატანჯა და ნბა-ს რიგით მოთამაშეობას ვერ გაცდა. ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ ითამაშა 60 თამაშზე მეტი, 1995-96 წლების სეზონში კი სულაც 11 მატჩი თუ ჩაატარა.

კოულმენის დათრევით „შარლოტი“ ძალზე კმაყოფილია და ამ 208 სანტიმეტრიან ამპლუით თავდამსხმელს ცენტრის პოზიციაზე თამაშს უპირებს. „შარლოტის“ მაისურებს მოირგებენ ყოფილი ატლანტელები ჩაკ ბრაუნი და ელდრიჯ რეკასნერი. თუმცა, სეზონურულ შენაძენთან ერთად შარლოტელმა კრაზანებმა სეზონული დანაკარგიც განიცადეს. კოულმენის მოსვლამ საბოლოოდ გადაწყვიტა გუნდის ორივე ცენტრის — ვლადე დივაცის და მეტ გეიგერის ბედი. დივაცი სავარაუდოდ „საკრამენტოში“ გადაბარგდება, მეტ გეიგერი კი „ფილადელფიას“ შეუგულებია ძირითად ცენტრად. „შარლოტს“ კოულმენის შემცვლელად ექსკლიპერზელი აიზეკ ოსტინი ეგულება, რომელმაც გასულ სეზონში ალონზო მურნინგს კონკურენციას ვერ გაუძლო „მაიამში“ და ლოს ანჯელესში აღმოჩნდა. ოსტინმა შარლოტს უგანა და კვლავ ფლორიდაში დაბრუნდა. ოღონდ „მაიამის“ ნაცვლად ამჯერად „ორლანდოში“ შეხვდება ახალ სეზონს.

ივანე კობიაშვილი

ნბა-ს თავისუფალი აგენტები

ახალი გუნდი	გადავიდნენ გუნდიდან გუნდში	ძველი გუნდი
ორლანდო	აიზეკ ოსტინი	კლიპერზი
ატლანტა	ენტონი ჯონსონი	საკრამენტო
შარლოტი	ჩაკ ბრაუნი	ატლანტა
შარლოტი	დერიკ კოულმენი	ფილადელფია
ლეიკერზი	დერიკ ჰარპერი	ორლანდო
ინდიანა	სემ პერკინსი	სიეტლი
სიეტლი	ოლდენ პოლინაისი	საკრამენტო
შარლოტი	ელდრიჯ რეკასნერი	ატლანტა
ტორონტო	მაიკლ სტიუარტი	საკრამენტო
ატლანტა	მარკ ვესტი	ინდიანა

დარჩნენ ძველ გუნდებში

დარელ არმსტრონგი	ორლანდო	ედი ჯონსონი	ჰიუსტონი
ჩარლზ ბარკლი	ჰიუსტონი	მეტ მელოუნი	ჰიუსტონი
ტრევის ბესტი	ინდიანა	დარიკ მარტინი	კლიპერზი
მეტ ბალარდი	ჰიუსტონი	დან შეიესი	ორლანდო
ტერი დევისი	ვაშინგტონი	გოდ შამგოდი	ვაშინგტონი
კრის დადლი	ნიუ იორკი	მაიკლ სტიუარტი	ტორონტო
დეილ ელისი	სიეტლი	ჩარლი უორდი	ნიუ იორკი
ოტელა ჰარინგტონი	ჰიუსტონი	ბილ ვენინგტონი	ჩიკაგო
ფრედ ჰოიბერგი	ინდიანა	ჯეისონ ვილიამსი	ნიუ ჯერსი

EURO LEAGUE

ზორან სავიჩმა ძველი იერი დაიბრუნა

მეტად უცნაური გუნდია ცსკა, როდის რას იკისრებს, ვერაფრით გაიგებ. რუსის სალდათებს შეუძლიათ აშკარად მოსაგები მატჩი საცოდავად დათმონ, სამაგიეროდ, განწირული შეხვედრების თავის სასარგებლოდ დასრულებაც შეძლებიათ.

ცსკა და სალონიკის პაოკ-ი ერთმანეთს ეკილებიან ჯგუფის მეოთხე ადგილს და, შესაბამისად, ევროლიგის მეთექვსმეტედფინალში გასვლას. ამ ტურში რუსები საბერძნეთს ეწვივნენ და თან მხოლოდ ცხრა მოთამაშით. არმიელთა უკანახაზელი ვასილი კარასიოვი დაშავდა და გუნდი გამთამაშებლის გარეშე დატოვა. ყველა წეს-კანონით ცსკა-ს უნდა წაგო, მაგრამ კარასიოვობა, და, შესაბამისად, გუნდის ლიდერობა ლატვიელმა გუნდარს ვეტრამ იტვირთა და შესანიშნავადაც: თავად ხომ ბლომად ჩაგდო, თანაგუნდელებსაც ხუთი პასი მიართვა. ლატვიელმა მეორე ტაიმში განსაკუთრებით კარგად ითამაშა, რითაც პაოკ-ის 11-ქულიანი დაწინაურება (ტაიმი ბერძნებმა 47:36 მოიგეს) ქარს გაატანა.

გახსოვთ, იუგოსლავიის ნაკრების ცენტრი ზორან სავიჩი მარტო რომ იგებდა თამაშებს ოლიმპიადასა და ევროპის ჩემპიონატებზე? ვისაც ახსოვს, გაიხსენებდა, ვისაც არა — სარატოვის სპორტდარბაზში იხილავდა ძველ სავიჩს. „სამგანყოფილებიანმა კარადამ“, როგორც მას ერთმა რუსმა ტელეკომენტატორმა უწოდა, ათორმეტ „ავტოდორის“ ფარი: ხან კაუჭები ჩაუდგო, ხან ჩაუტენა, დრიბლინგებიც არ დაკლო. ერთხელ სამქულიანი მანძილიდანაც დაულაშქრა კალათი. „ეფესის“ მეორე იუგოსლავიელი პრედრაგ დრობნიაკი ხასიათზე ვერ იყო. ამიტომ მისი საქმე მირსად თურქებმა გაკეთა — 14 ბურთი მოხსნა. რუსები მეორე ტაიმის შუაწელამდე იგებდნენ, ძირითადად ჩიკალკინის და ხიჟნიაკის წყალობით, მაგრამ მერე „ეფესმა“ სასურველ ხუთეულს მიაგნო და ბაირამისთვის მშვენიერ ხასიათზე გაემგზავრა შინ.

სამაგიეროდ, ბაირამი ჩაუმწარდა თურქთის ჩემპიონ „ულქერს“. სტამბოლელები სტეფანიას ყოფილმა გუნდმა „ოლიმპიამ“ დაამწუხრა. სლოვენიელებს აშკარად დაეტყოთ ქართველის წასვლა, განსაკუთრებით დაცვაში. მისმა შემცვლელმა სლავკო კოტნიკმა შეტევაში კი ივარგა, მაგრამ დაცვაში სასარგებლო ვერაფერი გაკეთა. იგი ვერ გაუმკლავდა კოტროვიჩ-ფირინჯიოღლუს ბლოკებს, რის შედეგადაც ულქერელთა ბომბარდირი ჰარუნ ერდენი უპატრონოდ რჩებოდა და აუღელვებლად ავსებდა ოლიმპიელთა კალათს. სლოვენიელებმა მალე შეცვალეს ტაქტიკა — ფორვარდები ფარიდან გარეთ გამოიყვანეს და ბურთის სწრაფ გათამაშებას მიჰყვეს ხელი. თურქებმა ტემპს ვერ გაუძლეს, „ოლიმპიას“ ამერიკელებს მაკდონალდი და ტეილორი გადამწყვეტ მომენტებში არ შედრკნენ და ლიუბლიანელებმა უფრო განიმტკიცეს ლიდერობა.

„ოლიმპიას“ კვალში ფრანგული „ვილერბანი“ ედგა, მაგრამ ახლა საგრძნობლად ჩამორჩა. ამ გუნდმა ბერლინში, 5 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ვერ დაამარცხა „ალბა“. არადა, მასპინძლები თითქმის სულ აგებდნენ და მარკო პეშიჩმა უშველათ: ბოლო წამებზე ხუთი საჯარიმო ჩაგდო. ამით „ალბამ“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჯერ ბოლო ადგილისგან თავის დასაღწევად (ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული გუნდის ქვეყანა ევროლიგის მომავალ გათამაშებაში ერთ ადგილს კარგავს) და მეთექვსმეტედფინალში გასვლის შანსიც შეინარჩუნა.

ათენის „პანათინაიკოსი“ დინო რაჯას გარეშეც ძლიერია. ესპანური „ტაუგრესი“ ტაიმს 46:35 უგებდა და თან ფარზეც ძალიან ჩაგრავდა. კი მაგრამ, რად გინდა ფარი, პასი ან, საერთოდ რამე, როცა გუნდში ბრწყინვალე დეიან ბოდიროგა გყავს! ამ იუგოსლავიელმა ფორვარდმა თამაშის მართვა ხელში აიღო და მეურვე ანგულო 19 წუთში ხუთი პერსონალურის გამო მოედნიდან გაისტუმრა. მართალია, 15 ნასროლიდან 9 ჩაგდო, მაგრამ ლიდერს აყოლილ ათენელებს გული მიეცათ და გერმანელმა მიხაელ კოხმა ოთხი სამქულიანი ჩაგდო. ბოდიროგამ ხუთი პასიც მითვალა და არც დაცვაში თამაში უთაკილია: დეიანი რომ არა, მისი თანამემამულე მიროსლავ ბერიჩი ორჯერ მეტ ქულას მითვლიდა. რაჯას არყოფნით კი, ყველაზე მეტად, „ტაუგრესის“ იტალიელმა ცენტრმა სტეფანო რუსკონმ ისარგებლა — ფარქვეშიდანაც ბევრი ჩაგდო და ფარზეც გაილაღა (9 მოხსნა).

რაც ბოდიროგაა „პანათინაიკოსისთვის“, იგივეა ალბერტო ერეროსი „რეალისთვის“. „ზადარისთვის“ ჩაგდებული 73 ქულიდან 30 ერეროსის ანგარიშზეა. ალბერტომ 8 ნასროლიდან 6 სამქულიანი ჩაგდო. მისი პასებით მომმარაგებელი ანგულო გახლდათ, რომელმაც 4 პასის გარდა 20 ქულაც ჩაითვალა.

მძიმე გამარჯვება მოიპოვა „ოლიმპიაკოსმა“. პირეოსელებს თითქმის თვენახევრიანი ავადმყოფობის შემდეგ დაუბრუნდათ ხორვატი ლიდერი არიან კომაზეკი. ჩანს, იგი ბოლომდე ვერ გამოკეთდა, რადგან სულ 13 წუთი ითამაშა, ამ ხანში კი ხუთი ქულის გაკეთება, ოთხი პერსონალურის მიღება და სამი სამქულიანის აცილება მოასწრო. დრაგან ტარლაკმა იხსნა „ოლიმპიაკოსი“ — მატჩში ყველაზე მეტ, 24 ქულას, ასევე ყველაზე მეტი — 12 მოხსნა დაურთო. პარადოქსია, მაგრამ ნაელი ვინი დელ ნეგროს მოსვლამ „ტიმსისტემის“ თამაში გააფერმკრთალა. დელ ნეგროს იტალიური პასპორტი კი აქვს, მაგრამ ევროპულ კალათბურთზე ნაუცბათევი გადმორთვა უჭირს. იგი, კარლტონ მაიერსთან შეწყვილებული, ხუთეულში იწყებს მატჩს. ამის გამო სათადარიგოდ იქცა ხორვატი დამრო მულაომეროვიჩი. არადა, „ტიმსისტემის“ თუკი რამისთვის მიეულწევია, პირველ რიგში მაიერს-ბულაომეროვიჩის არნახული სინქრონული მოქმედების წყალობაა.

ტურის მატჩი კი „ვარეზე“ — „მაკაბი“ აღმოჩნდა. ინდივიდუალისტები ორივე გუნდს მრავლად ჰყავს, მაგრამ მათგან ებრაელი ოდედ კატაში ყველაზე გამორჩეულია. ამ კაცს თავიდანვე აედევნა იტალიელთა ფორვარდი ანდრეა მენეგინი და ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. ცხადია, კატაშის შეჩერება მენეგინს პერსონალურებად უჯდებოდა და მატჩის მიწურულს მოეძანიც დატოვა. აქ კი გადაირია ებრაელთა ჯილა და ბურთს ბურთზე აგებდა. მისდა საუბედუროდ, დანარჩენი მაკაბელები პასიურ მაყურებლად იქცნენ. ვარეზელები კი პირიქით: პირველი ტაიმის შვიდქულიანი ჩამორჩენა (41:48) აღმოფხვრეს და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანეს. ჯელკო მრშიჩი და ჯანმარკო პოცეკო — „ვარეზედან“, ოდედ კატაში — „მაკაბიდან“ — აი, ვინ თამაშობდა დამატებით დროში, რომელიც მეტად უხვქულიანი გამოდგა. „ვარეზემ“ 21:17 მოიგო და შეიქნა მეორე გუნდი, ვინც წლევანდელ ევროლიგაში ასქულიან ზღვარს მიაღწია. მანამდე ას ქულას ორჯერ მიუკაკუნა მადრიდის „რეალმა“.

ძახა ხურციძე

მეორეადგილი. შეცამეტე ტური. 20-21 იანვარი

E ჯგუფი

ციბონა 71:79 ულალგირისი

ციბონა: ბაგარიჩი (2), დემპსი (2), გირიჩეკი (16), გრგატი (17), კრსტიჩი (7), მარცელიჩი (13), ნიჩევიჩი (4), პრკაჩინი (4), ვრანკოვიჩი (6)

ულალგირისი: ადომაიტისი (5), ბოული (9), ედნი (14), მასიულისი, მასკოლიუნასი (5), შტომბერგასი (20), ზიდეკი (15), ე. ულკაუსკასი (1), მ. ულკაუსკასი (10)

ცრვენა ზვეზდა 88:66 ფენერბაჰჩე

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (19), იესტრატიევიჩი (5), პავიჩევიჩი (3), პეკოვიჩი, პოპოვიჩი (7), რადმანოვიჩი (2), რაკოჩევიჩი (22), სტანოევიჩი (16), ტოპიჩი (11), ვიდაჩიჩი (3)

ფენერბაჰჩე: აბი, აფაიდინი (9), ენდენი, გილმორი (2), კალამზა (8), ქურთოღლუ, ქუთლუაი (25), ლოხმანჩუკი (2), მაკრეი (6), ტაბაკი (14)

ტდკ 51:69 პო ორტეზი

ტდკ: კაპდევილა (11), კრეუსი (5), გონსალესი (2), ლავინია, მილი (8), მონტანესი (2), მოია, სინგლა (8), ვასკესი (9), ვილიამსი (6)

პო ორტეზი: აიშა (10), ევოდო, ფატუ (7), ფუარე (19), დ. გადუ (10), გრანტი (16), სხოლტენი (3), სმიტი (4)

F ჯგუფი

ავტოდორი 66:77 ეფესი

ავტოდორი: ეინიკისი (13), ხიჟნიაკი (17), ხრიაპა (3), მილოსერდოვი, ზ. პაშუტინი (8), ე. პაშუტინი (10), ჩიკალკინი (15)

ეფესი: ბეშოქი (9), დრობნიაკი (3), ეკლიაოღლუ (8), ნაუმოსკი (15), სარიჯა (2), სავიჩი (22), თურქჯანი (14), თურქოღლუ (4)

ტაუგრესი 74:77 პანათინაიკოსი

ტაუგრესი: ანგულო (7), ბენეტი (11), ბერიჩი (15), ესპილი (12), მილერა, რუსკონი (19), ვინტერსი (10)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (6), ბოდიროგა (31), ბუდურისი (6), ეკონომუ (11), ჰუპმანი (4), კალაიძისი (3), კოხი (14), პატავუკასი (2)

ვარეზე 100:96 მაკაბი

ვარეზე: დე პოლი (14), გალანდა (11), მენეგინი (14), მრშიჩი (22), პოცეკო (18), სანტიაგო (11), ვესკოვი (7), ზანუს-ფორტი (3)

მაკაბი: ალექსანდერი (16), ბენუა (13), გუდესი, ჰენფელდი (6), კატაში (35), პოპა, რადულოვიჩი (6), შარფი (3), შეფერი (15), შელეფი

G ჯგუფი

პაოკ 69:71 ცსკა

პაოკ: ბალოიანისი (6), ბერი (20), კოლდებელა (2), იანულისი (9), კაკიუსისი, კინგი (21), მასლარნოსი (4), მორალესი (4), ნიკოლაიდისი (3), პერალი

ცსკა: დანეკო (8), დომანი (4), კირილენკო (6), კისურინი (4), კუდელინი (16), ნოსოვი (6), პანოვი (7), ტიხონენკო, ვეტრა (20)

სამარა 61:71 კინდერი

სამარა: დოლოპჩი (4), ევანსი (11), გრაჩოვი (13), იაილო (22), კისელიოვი (7), მალცევი (2), პეტენევი (2)

კინდერი: აბიო (8), ბინელი (2), კრიპა (2), ფროსინი (4), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (15), ოლოვოკანდი (12), პანიჩი (2), რიგოდო (19), სკონოჩინი (7)

ტიმსისტემი 60:63 ოლიმპიაკოსი

ტიმსისტემი: კიაჩიგი (2), დამიო (10), დელ ნეგრო (9), ფუჩკა (13), გაი (1), კარნიშოვასი (10), ლაცისი (9), მულაომეროვიჩი, მაიერსი (6)

ოლიმპიაკოსი: ფასულასი, გოლდვაიერი (11), კომაზეცი (5), ობერტო, პაპანიკოლაუ (9), როჯერსი (6), ტარლაკი (24), ტომიჩი (6), ცალიკისი (2)

H ჯგუფი

ალბა 73:71 ვილერბანი

ალბა: ალექსისი (11), ბოგოევიჩი (6), ფემერლინგი (9), გარისი (14), პამინკი (14), ლუტკე (2), პეშიჩი (12), როდლი (5)

ვილერბანი: ბლომი (9), დიგბო (14), ჰენრი (6), პალმერი (14), პერსეკო (6), პლუვი (3), რადი (7), სონკო (12)

ულქერი 61:71 ოლიმპია

ულქერი: ალიჰოჯიჩი, ანდერსონი (10), ჯაგლანი, ერდენი (26), ფირინჯიოღლუ (10), კოტუროვიჩი (5), რენკინი (8), თექინალფი, თუნჩერი, ილდირიმი (2)

ოლიმპია: ბრეეტეი, დუშაკი (4), კოტნიკი (16), კრალევიჩი (10), მაკდონალდი (13), მუტავჯიჩი (6), ნოვაკი, ტეილორი (10), ზდოვეი (12)

ზადარი 68:73 რეალი

ზადარი: ერეგეგოვიჩი, ერიავეი (5), კოვაჩიჩი (14), ლუისი, მუიაჯიჩი (12), ნაგლიჩი (17), პეტკოჩი (3), ი. რუჟიჩი (14), ტ. რუჟიჩი (3)

რეალი: ანგულო (20), ბერდი (16), ერეროსი (30), ლასა, ლიუკი, მარტინი, სანტოსი (2), სტრიულენსი (5)

E ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ულალგირისი		70:67	64:59	18.02	4.02	75:66	10	3	1024:967	23
2 პორტეზი	56:66		73:48	4.02	70:61	18.02	7	6	946:909	20
3 ფენერბაჰჩე	99:84	78:71		66:61	17.02	4.02	7	6	971:976	20
4 ციბონა	71:79	66:56	10.02		77:80	54:61	5	8	876:913	18
5 ცრვენა ზვეზდა	77:69	11.02	88:66	66:69		88:60	4	9	921:931	17
6 ტდკ	11.02	51:69	71:62	67:79	74:59		4	9	834:919	17

F ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 პანათინაიკოსი		77:63	18.02	82:71	67:58	3.02	13	0	985:846	26
2 ეფესი	53:80		71:67	3.02	81:74	18.02	9	4	915:902	22
3 ტაუგრესი	74:77	11.02		75:72	79:76	80:60	6	7	998:1001	19
4 ვარეზე	11.02	67:57	86:78		100:96	95:73	6	7	1040:1046	19
5 მაკაბი	62:84	66:68	4.02	18.02		92:69	5	8	954:936	18
6 ავტოდორი	73:76	66:77	64:81	73:70	11.02		2	11	940:1058	15

G ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ოლიმპიაკოსი		55:50	17.02	74:76	57:71	4.02	10	3	947:878	23
2 კინდერი	67:72		72:74	86:65	4.02	18.02	8	5	876:793	21
3 ტიმსისტემი	60:63	11.02		83:69	76:61	77:58	7	6	893:843	20
4 ცსკა	75:81	62:70	4.02		17.02	79:68	7	6	971:959	20
5 პაოკ	10.02	71:57	68:59	69:71		85:66	6	7	933:923	19
6 სამარა	70:81	61:71	59:71	11.02	84:77		1	12	884:1072	14

H ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ოლიმპია		76:84	64:54	18.02	76:65	4.02	10	3	924:832	23
2 რეალი	67:68		71:70	4.02	18.02	74:63	8	5	1025:958	21
3 ვილერბანი	77:68	77:73		72:56	3.02	18.02	8	5	928:903	21
4 ულქერი	61:71	85:83	11.02		62:55	76:65	5	8	877:952	18
5 ზადარი	11.02	68:73	74:56	73:85		79:82	4	9	867:922	17
6 ალბა	57:75	11.02	73:71	87:63	78:85		4	9	918:1008	17

მაიკ ტაისონი კიდევ ერთხელ დაბრუნდა. ის აცხადებს, რომ დაბრუნდა მხოლოდ ოთხი ბრძოლის გასამართავად და ერთი ორასი მილიონის საშოვნელად. ეს დასაჯერებელი რამ არის, მითუმეტეს, რომ ტაისონი ამბობს, მე კარგახანია ყველაფერი დავამტკიცე, ამიტომ, დასამტკიცებელი არაფერი მაქვსო. ამ შემთხვევაში, ტაისონი იმას გულისხმობს, რომ კრივის ისტორიაში მისი სახელი უკვე ჩაწერილია, როგორც მძიმე წონის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონისა და აგრეთვე მძიმე წონის ყველაზე ახალგაზრდა აბსოლუტური ჩემპიონისა.

ეს, რა თქმა უნდა, ისტორიაა. მაგრამ რას წარმოადგენს მაიკ ტაისონი დღეს? როგორია მისი ხვალინდელი დღე? და საერთოდ, ვინ არის მაიკ ტაისონი? მაიკლ ბერკოვიცის საკრივო ფურცელიც ამას ეხება.


ვეფხი და ვეფხი ვითომ?

ცუდი, ავი, კარგი

ცუდი

ალბათ ბევრს არავის შეუძლია დედამიწის ზურგზე იყოს ცუდი და ამავე დროს ძალიან საჭირო და მიმზიდველი. ეს შეუძლია მაიკ ტაისონს.

ამ კაცმა თვითონაც არ იცის, რატომ ხდება ასე, მაგრამ ფაქტია: ასეთი ყბადაღებული, ასეთი სიტყვით და საქმით გათახსირებული მოკრივე დღეს არ მოიძებნება. ამავე დროს, არ მოიძებნება მეორე ასეთი საჭირო მოკრივეც. ტაისონზე ხშირად ამბობენ, რომ ის მოარული ნაღმია, მაგრამ წარმოუდგენლად სჭირდებათ ეს ნაღმი. ალბათ იგი ერთადერთი ნაღმია მსოფლიოში მილიარდები რომ მოაქვს.

მას ფსიქიატრებთან გზავნიან, განუწყვეტლივ სასამართლოში ზის, ადვოკატის გარეშე არსებობა არ შეუძლია, გაუგებრად ლუღლუღებს და თვალებს დამნაშავესავით აცეცებს. როგორც ამბობენ, ყველაზე საშიში სწორედ ამდროსაა — როცა თავს ჩაღუნავს და თვალების ცეცებას მოჰყვება. საშიში და სახიფათო სხვისთვისაც და რა თქმა უნდა, საკუთარი თავისთვისაც.

ამ დროს ტაისონი ქურდობაზე დაჭერილ ბაცაცას ჰგავს. ოღონდ იმ ბაცაცას, რომელიც ბედს არ შერიგებია და არავინ იცის თავდაცვის ინსტინქტი რას უკარნახებს. უფრო სწორად კი, ნაკარნახევი ცნობილია — თავდაცვის ინსტინქტი არასოდეს კარნახობს მას მიმალვას, გაქცევას, ტაქტიკურ უკანდახევას. არამედ მხოლოდდამხოლოდ შეტევას. მისი შეტევა შიშისგან, ღირსების ხელყოფისგან გადარეული კაცის შეტევაა და ქვეყნად არც არსებობს ამაზე საშინელი და დაუნდობელი თავდაცვა. ასეა რინგზეც და მის გარეთაც. ტაისონის მთელი დრამა ტვინგადაკეტილი კაცის თავდაცვის ამბავია.

რა არის ღირსება მაიკ ტაისონისთვის?

სამი წლის ასაკიდან ის თავს იცავდა. ათი წლისა იყო, როცა პირველად დაიცვა თავი გადარეული შეტევით — საკალათბურთო დარბაზში გატენილი რევოლვერით შევარდა და უბნის ყოჩებს სროლა აუტეხა.

ის ბრაუნსვილში დაიბადა, ბრუკლინის გაგრძელებაზე. იქ, სადაც ადამიანი დაბადებიდანვე თავდაცვის ფორმების ძიებისათვის არის განწირული. თუმცა, საძებარიც არაფერი აქვთ — მუშტი, დანა და ტყვია. აი, თავდაცვის საუკეთესო საშუალება.

მისი ბედი იყო, რომ ძნელადაღსაზრდელთა ბანაკში, სადაც ერთი ბანანის რევოლვერის საშუალებით მოპოვების გამო მოხვდა, კას დ'ამატო მოვიდა. კასი საოცარი კაცი და საოცარი მწვრთნელი იყო. კასი ის კაცი იყო, რომელიც დაუზარლად იმეორებდა: „არ არსებობს ადამიანი, რომ არ ეშინოდეს, მაგრამ გმირსა და მხდალს შორის განსხვავება ისაა, რომ გმირს შეუძლია შიშთან ბრძოლის ხერხები გამონახოს".

კასი უკვე მოხუცი გახლდათ. ტაისონი მისი უკანასკნელი აღმოჩენა იყო. უმართავი და თვალების მაცეცებელი შავი ბიჭი, რომელიც იშვილა. ის შვილივით ზრდიდა მაიკს, მაგრამ მოხუცი იყო და მანამდე გარდაიცვალა, სანამ ტაისონი ტრევორ ბერბიკს დააგდებდა და ჩემპიონი გახდებოდა. ამ კაცს შეეძლო მშვიდ და ცივილურ ადამიანად ექცია მაიკი. მან ის მოკრივედ აქცია და ადამიანადაც აქცევდა. ისეთ ადამიანად, რომელიც თავდაცვას ისწავლიდა. ხომ ასწავლა რინგზე თავდაცვა?

ტაისონისთვის ღირსებად ის დარჩა, რაც ადრე ეგონა — გამარჯვებული აუცილებლად ღირსეულია. ვინც ჩემს გამარჯვებას ხელყოფს, ის ჩემს ღირსებას უტეხს. თავი უნდა დავიცვა, მნიშვნელობა არა აქვს, როგორ.

ბრაუნსვილიდან ლას ვეგასში მოხვდა — ოჭროვერცხლის ქალაქში. აქ იმ კანონებით მოვიდა, ბავშვობაში რომ ისწავლა. ოჯახი შექმნა და ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა. ქალს გაეარშიყა და არც ამ საქმისა გაეგებოდა რამე. პასუხი ყოველთვის ერთი ჰქონდა — თავდაცვა, რომელიც იმ ძალისა და ეფექტისაა, რომ არავინ აღიარებს თავდაცვად.

მეტი მან არაფერი იცოდა და ვერც ისწავლა.

უცნობი ყოველთვის საშიში იყო მისთვის. უცნობი ძალიან ბევრი იყო. უბრალოდ, მაიკ ტაისონმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

ავი

ჩვენს დროში, კრივს გადეგნებულ კაცს შეუძლია ბედნიერად და უზრუნველად იცხოვროს. თუ, რა თქმა უნდა, თავს მოქალაქედ გრძნობს და თავისი გულის კანონები და ველური განცდები (თუკი ასეთი აქვს) მოუთოკავს. აი, ევანდერ ჰოლიფილდი — თითით საჩვენებელ კაცად ქცეულა: საზოგადო საქმეები, ზანგურად ლოცვა, ქველმოქმედება. მერე რა, რომ მის უკანონო შვილებს ვერ დაითვლი? მერე რა რომ თავის განუმეორებლობაში დარწმუნებული, ყოველ ახალ პირმშოს „ენ"-ზე დაწყებულ სახელს არქმევს? ოჯახი სამაგალითო აქვს, ცოლიც კმაყოფილია და მარტოხელა დედათა ლაშქარიც. მთავარია: „ჯისას, ჯისას" იძახოს ხშირხშირად.

ის თავაწეული კაცია.

მაგრამ რა ქნას თავჩაღუწულმა კაცმა, რომელიც მთელი ცხოვრება წარბებსქვემოდან იმზირება და თვალებს აცეცებს?

მაიკ ტაისონის სიავის გამოხატულებად, მისი დრამის ქვაკუთხედად ქალია გამოცხადებული. მთელმა იმ განუმეორებელმა თავდაცვამ ქალთა მეშვეობით შეისხა ფრთები. ქალების მეშვეობით გამომზეურდა ის, რომ ტაისონი სპორტულად ავი კაცი კი არა, საერთოდაც ავი კაცი გამოდგა.

ეს პრობლემაც ბავშვობიდან იღებს სათავეს.

მაიკი უკვე დ' ამატოს ოჯახში ცხოვრობდა, როცა თანაკლასელ გოგოს მუშტები დააყარა. გოგონები ხომ ასეთი გამომწვევები და ენამწარენი არიან. ხუმრობა და დაცინვა ტაისონისთვის ყოველთვის ძნელი გასარჩევი იყო. მოწაფედაც ვერ ვარგოდა, კითხვა და წერა უჭირდა, რაღაცეებს ბლუკუნებდა. სკოლა ეგრეც ვერ დაამთავრა.

მაიკის დაბრუნება და მაიკის გაფარჩაკება

მისი კოსმოსური მუშტის მორიგი მსხვერპლი ოფიციალური ცოლი, მსახიობი რობინ გივენსი იყო. ქალები ენამწარობასთან ერთად, მომთხოვნნიც გამოდგნენ. ცოლი, სიდედრი. სულ ფულის გამო დავა. ადრე რობინს მაიკლ ჯორდანი ჰყვარობდა. ამ ქალის აშარი ბუნება ცნობილი იყო, მაგრამ აბა მაიკს რა გაეგებოდა ან ბუნებისა, ან ხასიათებისა.

მაიკი იოლად ასათამაშებელი კაცი გახლდათ, ოღონდ უნდა გცოდნოდა, როგორ აეთამაშებინა. რობინმა თავისი ოხრული ხასიათის გამო ეს არ იცოდა. ის ღირსებას ეხებოდა. და დახეთ, როგორ აათამაშა მაიკი დონ კინგმა? ის გახლართა თავის ბადეში, რომ დაავიწყა ყოველივე კარგი, რაც კი ყოფილა მის ხელობასა და ცხოვრებაში. კასის მემკვიდრენი, კევინ რუნი და ტედი ატლასი სადღაც გაქრნენ, მათი ადგილი სხვა ხალხმა დაიჭირა. მაიკმა ბევრი სისულელე ჩაიდინა და ილაპარაკა, პოლიტიკური განცხადებებიც კი მოიშველია. მან სამართლიანობაზე დაიწყო ლაპარაკი. სამართლიანობაზე, რომელიც შავი ამერიკის გულისთქმას გულისხმობდა. ალის ბაძავდა. სისულელე იყო. ამ დროს აღარ იყო ჩემპიონი, ნოკაუტით წაეგო ბასტერ დაგლასთან.

მის შავმა ამერიკამ, დეზრე ვაშინგტონმა მაიკ ტაისონი ციხეში გაისტუმრა. „არ ენდო ქალს" — მაიკმა არაფერი იცოდა ამ ძველი ტუსალური სვირინგისა. მოსამართლეც ქალი იყო, სასამართლოზე რაღაც ტამპონები წარმოადგინეს. ღამის სამი საათი, ქალი საწოლში. ფემინისტური ტალღა. გაუპატიურებაო. ციხე, ალაჰი და ისევ ქალებზე ფიქრი. ამჟამინდელმა ცოლმა მონიკა ტერნერმა მოახერხა დაერწმუნებინა, ქალებიც ბევრნაირნი არსებობენ. მონიკა საუცხოო ქალია, მაგრამ ციხიდან გამოსულს კიდევ ორმა გოგომ უჩივლა, გვაუპატიურებდაო.

ის კი, ციხიდანვე სამართლიანობაზე ფიქრობდა. მისი სვირინგები აღგვიწერს თუ რა არის სამართლიანობა მაიკისთვის. ეს დიდი და საყოველთაო ნგრევაა, ეს ის არის მისებრ თავდამცველებს რომ დაამშვიდებს, ეს მსოფლიოს სხვანაირი წესრიგია.

ერთ მკლავზე მაო ძედუნი, მეორე მკლავზე ფარახანი, აგერ ახლახან კი მუცელზე ერნესტო ჩე გევარა. ეს მაიკ ტაისონის სამართალია, მისი პასუხია იმის გამო, რაც თავს გადახდა.

ის ფიქრობს სამართლიანობაზე. ეს უბირი კაცის ფიქრია. მისი პასუხი კი ძველია — მოჭმული ყური, ტრასაზე წიხლების ქნევა, უაზრო ბლუკუნი სასამართლოზე და არეულობა ტვინში.

ციხეში მაიკი გამუსლიმდა, აბდულ აზიზად იწოდა. მაგრამ რინგზე არანირდეს გამოსულა ამ სახელით. მისთვის სახელი არ იყო მთავარი, არამედ სამართლიანობის და სიმშვიდის ძიება.

ინდიანური საპყრობილის კარებში მაიკი ოფიცერს დაემშვიდობა: „ნახვამდის. ალბათ, აღარასოდეს მოვხვდები აქ". „აბა, რა," — მიუგო ოფიცერმა — „ეს ხომ შემთხვევითობა იყო".

შემთხვევითობა?

თუ ეს შემთხვევითობა იყო, მხოლოდდამხოლოდ ისეთი, მთელი ცხოვრება რომ გელის. ასეთი შემთხვევითობა დღესაც ყოველ ნაბიჯზე ელის მაიკ ტაისონს, რომელმაც ეგრეც ვერ ისწავლა დაცვა.

კარგი

უცნობმა მამამ დაანათლა მაიკ ტაისონს მკლავის წარმოუდგენელი სისწრაფე. ცნობილმა დედამ თითქოს არცთუ საჭირო გულუბრყვილობა. ჩვენ კი რას ვფიქრობთ, როცა მოუმენლად ველით მის გამოჩენას? რა არის ასეთი მიმზიდველი ამ კაცში? ალბათ, ის რაც ჩვენში დაფარულა, მაიკ ტაისონში კი ვერადავერ. ეს ის უზარმაზარი, განუმეორებელი აგრესია და გამარჯვების წყურვილია. გამარჯვებისა ყველაზე უფრო დაუნდობელ ბრძოლაში. იმიტომ, რომ კრივი არაფრით არაა ორი ახირებული კაცის რინგზე დგომა და მუშტების ქნევა. დიდი კრივი — თავად ცხოვრებაა. დიდი კრივი — ფილოსოფიაა. იქ ცხოვრება და ბედია, ხასიათები გაშიშვლებულია. მუშტის გაქნევის იქით, ყველაფერია.

ახლა მოდაშია თქმა, რომ ტაისონს არასდეს არავინ შეხვედრია. რომ ორი სერიოზული კაცი, დაგლასი და ჰოლიფილდი შეეყარენ რინგზე და ორივემ დაადგო. ერთმა ციხემდე, მეორემ ციხის შემდეგ. რომ ათი წელიწადია მაიკს საკრივო არაფერი უსწავლია და რაც იცოდა იმის ორი მესამედიც დაავიწყდა. აქ ბევრი სიმართლეა, მაგრამ ვისაც კრივისთვის უცქერია, მას არასდეს დავიწყდება მაიკი. არა იმიტომ, რომ ის სამყაროს „ყველაზე ცუდი ბიჭად" ჩათვალეს, არამედ იმიტომ, რომ დაუვიწყარია მისი უხილავი სანოკაუტო დარტყმა.

ჩვენ ვერ ვხედავთ მის მოქნეულ მარჯვენას. ჩვენ ვხედავთ წაქცეულ მოწინააღმდეგეს და მერე შენელებული კადრებით ვარკვევთ, რა მოხდა.

ეს დარტყმა, ტაისონის სანოკაუტო მოქნევა, არის ერთადერთი რამ, რაც მაიკს ცხოვრებაში გამოუვიდა. ამ დარტყმამ მას მილიარდი დოლარი მოუტანა. სწორედ ეს დარტყმაა ერთგვარ ბედნიერებას რომ განაცდევინებს მაიკ ტაისონს რინგზე და იგივე დარტყმაა ცხოვრება რომ აურია, რადგან რინგს გარეთ იგი ხულიგნობაა და მეტი არაფერი.

ეს დარტყმა მისი ცხოვრების ერთადერთი გამოხატულებაა, მისი ფარია და მახვილი. მისი დაცვა, შეტევა და ომი. არავის შეუძლია ამის გამეორება. არავის შეუძლია მიბაძვა და შესწავლა, იმიტომ რომ ამ დარტყმაში ბედი, ცხოვრება, სიძულვილი და სიყვარულია ჩადებული. ამის მიბაძვა კი სასაცილოა.

უცნობია, ფიქრობს თუ არა ტაისონი ქამრების დაბრუნებაზე. სიტყვით ის უარყოფს, კიდევ ერთ აღმასვლას. მისი განუზომელი შიში სხვათა შიშს შობს. მე კი მგონია, რომ ამჟამად ტაისონს რინგსგარეთა სადარდელი მეტი აქვს.

ის თავგანწირვით ცდილობს კეთილი კაცი გახდეს და თავისი ბრაზი დამალოს.

არ გამოსდის, თუმცა თავგანწირვა მთლად უშედეგოდ არ არის.

რა გამოუვა არავინ იცის. ანდა სხვანაირი მაიკ ტაისონი ვინღა იქნება? ვიღაც სხვა.

დარჩება მხოლოდ უხილავი დარტყმა, უსწრაფესი პასუხი ბრაუნსვილიდან.

დღეს ეს დარტყმა აღარ არის შეტევა. ეს დარტყმა მხოლოდ პასუხია.

ისე, როგორც ბავშვობაში, რინგსგარეთ იყო.


ტაისონის პირველი მარცხი — ბასტერ დაგლასის მოულოლდნელი სანოკაუტო დარტყმა

ვარსკვლავთმრიცხველებს შეეშალათ

თუ „ყველა ვარსკვლავია“, ყველა იყოს!

21 იანვრიდან ნჰლ-ში ოთხი დღე უქმეა: შაბათ-კვირას ყველა ვარსკვლავის შოუა. განრიგის თანახმად გუშინწინ ერთბაშად 12 მატჩი ჩატარდა და მაყურებელმაც კიდევ ერთხელ იხილა „ALL STAR GAME“-ში მონაწილეობისთვის არჩეული ჰოკეისტები. ძალიან დასანანია, რომ ზოგიერთი მათგანი ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ დაამშვენებს ამ დიდებულ სანახაობას.

21 იანვარი

რეინჯერსი — ფლორიდა 1:2
0:0 0:1 1:1
0:1 ბურე 26'35(3); 1:1 სტივენსი 47'47(10); 1:2 ჰედიკანი 58'17(3)

ერთ-ერთი, ვისაც უეჭველად მოისაკლისებს ვარსკვლავთა მატჩი, ფლორიდელთა ახალი შენაძენი პაველ ბურეა. მაშინ, როცა ლიგამ 24 იანვრის შეხვედრის მონაწილეთა სია გამოაქვეყნა, „რუსული რაკეტის“ მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, ამიტომაც იგი „ALL-STAR GAME“-ის მიღმა დარჩა. არადა, ახალ გუნდში ასეთ დებიუტზე ალბათ, თავად ფორვარდიც ვერ იოცნებებდა, ზედიზედ ორ დღეს მის თამაშზე მხოლოდ ერთი რამ ითქმის — არაჩვეულებრივი, რუსი ჰოკეისტის მიერ შესრულებული ორი სოლო კი ნამდვილად ჰოკეის ისტორიაში დამკვიდრების ღირსია. პარტნიორებმა, აილენდერსთან მატჩის დარად, ამჯერადაც მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს ბურე და თუ მან წინა დღეს „ჯუნბულელ“ რიზტერს გვერდი აუარა და შაიბა ისე გაიტანა, ახლა პირველივე ცრუმოძრაობას დარტყმა მიაყოლა. ფორვარდი ზედიზედ მეორე დუბლთანაც ახ[illegible] იყო, მაგრამ მასპინძლები ძალმა იხსნა. აღსანიშნავია, რომ მეორე გოლიც ექსვანკუვერელმა ბრეტ ჰედიკანმა მიითვალა.

ბოსტონი — ოტავა 1:3
0:0 1:1 0:2
0:1 გარდინერი 38'06(4); 1:1 ხრისტიჩი 38'53(20); 1:2 სალო 40'55(1); 1:3 მაკიჩერნი 59'19(21)

მსოფლიოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, ბოლოხანს ჩინებულად მოთამაშე ალექსეი იაშინის (1 პასი) წყალობით ოტავას უკვე შვიდი თამაშია, სტუმრად არ წაუგია, რაც „სენატორთა“ ახალი საკლუბო რეკორდია. ბოსტონელი ოლსტარელი დმიტრი ხრისტიჩიც გამოირჩა.

პიტსბურგი — აილენდერსი 2:5
2:1 0:2 0:2
1:0 შლეგრი 2'14(1); 1:1 ლაპოინტი 3'32(10); 2:1 კოვალიოვი 15'12(12); 2:2 რაიხელი 23'26(11); 2:3 საკო 30'47(2); 2:4 ლოურენსი 49'15(5); 2:5 ლაპოინტი 59'54(11)

პიტსბურგელ „ვარსკვლავებს“ იარომირ იაგრსა და მარტინ სტრაკას (ორივემ 2-2 პასი მიითვალა) ძალა მხოლოდ პირველ მესამედში ეყოთ. დანარჩენ დროს კი მოედანზე ბატონობდნენ სტუმრები, რომელთაც ახალი მწვრთნელი ბილ სტიუარტი გაუძღვათ. მან თავისი დებიუტი იმით აღნიშნა, რომ ნიუიორკელებს 11-მატჩიანი უხეირო სერია შეაწყვეტინა.

ლოს ანჯელესი — ნიუ ჯერსი 2:3
1:2 1:1 0:0
0:1 მაკეი 3'54(12); 1:1 შტუმპელი 4'56(7), 1:2 ჰოლიკი 12'21(12); 1:3 ნიდერმაიერი 20'42(5); 2:3 შტუმპელი 35'31(8)

დეტროიტი — კაროლინა 4:1
1:1 1:0 2:0
0:1 პრიმო 0'42(22); 1:1 ფიოდოროვი 7'58(11); 2:1 ლიდსტრიომი 34'31(8); 3:1 ბრაუნი 55'33(7); 4:1 ლარიონოვი 59'32(7)

ვარსკვლავთა შოუსთვის არჩეულ ნიკლას ლიდსტრიომსა (H1) და კეიტ პრიმოზე მეტად ვეტერანმა იგორ ლარიონოვმა (H2) გამოიჩინა თავი.

ფილადელფია — ვაშინგტონი 4:1
20 2:1 0:0
1:0 დაიჰიუსი 9'50(3); 2:0 რენბერგი 14'45(6); 3:0 ლინდროსი 20'33(26); 4:0 ლანგკოუ 21'29(7); 4:1 პივონკა 30'05(4)

ერიკ ლინდროსისა და ჯონ ლეკლერის ბრწყინალე ფილადელფიური დუეტი ჩინებულ ფორმაში ხვდება „ოლ სტარს“. ბოლო თამაშში გოლეადორობა გუნდის კაპიტანმა ლინდროსმა ითავა (ზედიზედ შვიდ თამაშში გააქვს), ლეკლერი კი პასებს გადაჰყვა. ამიტომაც ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებს სულ ერთ გოლიღა აშორებთ.

ნეშვილი — ტამპა 2:3
0:1 1:1 1:1
0:1 სილინჯერი 11'41(2); 1:1 კრივოკარსოვი 33'47(15); 1:2 ზამუნერი 37'51(3); 2:2 ბურარი 46'12(2); 2:3 ტაკერი 49'53(12)

ეტყობა, ტამპელები, რომელთაგან მხოლოდ უენდელ კლარკი შეარჩიეს, იმითაც კმაყოფილნი დარჩნენ, რომ ვარსკვლავთა თამაშს ისინი უმასპინძლებენ. ყოველ შემთხვევაში, სამი თვის განმავლობაში „ელვებმა“ ზედიზედ მეორე მატჩი პირველად მოიგეს.

ჩიკაგო — მონრეალი 3:0
1:0 0:0 2:0
1:0 ემერსონი 12'21(10); 2:0 მანელიუკი 49'22(6); 3:0 ოლჩიკი 58'47(3)

ფინიქსი — ანაჰაიმი 3:3
1:2 1:1 1:0 0:0
0:1 დრური 5'32(2); 1:1 სტეპლტონი 9'26(5); 1:2 სელიანე 15'24(22); 2:2 ადამსი 37'08(10). 2:3 კარია 38'51(20); 3:3 ნუმინენი 49'44(8)

საწყენია, რომ ანაჰაიმის საოცარ დუეტს, ჰოლ კარია — ტემუ სელიანეს, 24 იანვარს ვედარ ვიხილავთ. ისინი ხომ ერთმანეთის მეტოქეები იქნებიან.

სან ხოსე — ედმონტონი 3:3
2:1 1:1 0:1 0:0
1:0 მარლო 5'52(10); 2:0 ნოლანი 12'32(10); 2:1 ფალუნი 13'05(11); 3:1 მარლო 20'17(11); 3:2 გერინი 23'30(19); 3:3 გერინი 46'22(20)

ედმონტონელმა ბილ გერინმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიო — ჩრდილო ამერიკის პრინციპით გამართული ვარსკვლავთა მატჩი ბევრი ოსტატის ხილვის შესაძლებლობას არ მოგვცემს.

კოლორადო — კალგარი 4:2
2:1 0:1 2:0
0:1 უილმი 5'59(6); 1:1 საკიკი 8'23(19); 2:1 კორბე 15'26(6); 2:2 სტილმანი 32'43(13); 3:2 საკიკი 46'08(20); 4:2 ფორსბერგი 58'03(13)

თუ გერინის ვარსკვლავობაში ზოგს ეჭვი ეპარება, განა ჯო საკიკის გარეშე „ოლ სტარის“ წარმოდგენა შესაძლებელია?

სენტ ლუისი — ტორონტო 2:4
1:0 0:2 1:2
1:0 კონროი 15'20(5); 1:1 კარპოვცევი 21'30(2); 1:2 ტომასი 27'27(18); 1:3 უორნერი 41'06(5); 1:4 ჯონსონი 49'02(16); 2:4 იანგი 59'27(7)

სამველ ღარიბიანი

დეტროიტელებს ბედი არ სწყალობთ

ფორტუნამ მართლაც შეაქცია ზურგი დეტროიტს. ამას ჩემპიონთათვის შეუფერებელი თამაშის გამო როდი ვამბობთ. როცა „ოლ სტარისთვის“ გამოკითხვა მიმდინარეობდა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ 7 დეტროიტელი ხვდებოდა მეტოქე ნაკრებთა სასტარტო ექვსეულებში, მაგრამ ჯერ სერგეი ფიოდოროვმა და კრის ოსგუდმა დათმეს პოზიციები და საბოლოოდ ვერც მოხვდნენ შემადგენლობებში, შემდეგ მცველმა უვე კრუპმა მიიღო ტრავმა, ვარსკვლავთა შეჯიბრებამდე სულ სამი დღით ადრე კი გუნდის კაპიტან სტივ აიზერმანს თამაშისას ცხვირში შაიბა მოხვდა... ასე რომ, ვარსკვლავთა მატჩში სულ სამი დეტროიტელი მიიღებს მონაწილეობას. არ გაუმართლა ფლორიდელ ვიკტორ კოზლოვსაც, რომელსაც ოთხშაბათს მხარი რომ არ დაეზიანებინა, პირველად გაერეოდა ვარსკვლავთა მარაქაში. კიდევ ერთი უიღბლო, ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფიც, ისევე როგორც აიზერმანი, ჩემპიონატის ბოლო მატჩში დაშავდა. მათი შემცვლელები დღეს გამოვლინდებიან.



ნიუიორკელი დერენ ლენგდონი ფლორიდელ სკოტ მელანბის უმკლავდება

ხახალეიშვილის „დებიუტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს და ხვალ მოსკოვი უმასპინძლებს „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ევროპელი ძიუდოისტებისთვის ამ რანგის პირველი შეჯიბრებაა წლეულანდელ სეზონში.

მოსკოვს გუშინ გამგზავრებული საქართველოს ნაკრების შემადგენლობა მეტწილად ახალგაზრდულია. გუნდში თითქმის არ არიან წონითი კატეგორიის ლიდერები, რაც ცხადად მიგვანიშნებს მწვრთნელთა განზრახვაზე — გამოცდილება შემატონ ახალბედებს. სამაგიეროდ, მოსკოვში უნდა იასპარეზოს ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონმა დავით ხახალეიშვილმა, რომლისთვისაც ეს ტურნირი საკმაო ხნის შესვენების, გაურკვევლობის და ნერვების წყვეტის შემდეგ, პრაქტიკულად, პირველი შეჯიბრებაა.

საქართველოს გუნდი მოსკოვში ასეთი შემადგენლობით გაფრინდა: თემურ გივიაშვილი, მამუკა კურდღელაშვილი, ანზორ ზაუტაშვილი (სამივე — 60 კგ), დავით მარგოშვილი, ვასილ მერაბიშვილი (66), ჯონდო მუზაშვილი, დავით ნადარაია, სოსო ჯამბურიძე (73), ლევან ციგრიაშვილი (81), რამაზ ჩოჩიშვილი, დავით ხახალეიშვილი, ალექსი დავითაშვილი (მძიმე).

ირაკლი თამაძე

არც ქულები, არც შამპანური



REUTERS კიცბიუელიდან

კიცბიუელის ტიალმა შტრაიფის ტრასამ ჰერმან მაიერიც წააქცია

ორივე მდევარმა, კიუსმა და ამოდტმა მშვენიერი დრო აჩვენა. ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო თასის გათამაშების ლიდერი ჰერმან მაიერი სტარტზე ძალიან კი აღრჭიალებდა კბილებს, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ნორვეგიელის შედეგების გაუმჯობესება ვერ შეძლო. საბოლოოდ, პირველი ცდის შემდეგ მაიერი მხოლოდ მეცხრე ადგილს დასჯერდა.

საათნახევრის შესვენების მერე კიცბიუელის სწრაფდაშვების ტრასაზე შეჯიბრება განახლდა. ლიდერთა სამეულიდან პირველი მაიერი დაეშვა. ცხადია, ოლიმპიური ჩემპიონი რისკავდა. ერთ-ერთ მოსახვევში უხერხულად შესვლის შემდეგ იგი შიდა თხილამურის იმედზელა დარჩა. როცა მეორე თხილამურიც შეეხო თოვლს, შეცდომის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო. რისკი ერთობ რისკიანი გამოდგა — ლიდერმა ვერც აქამდე მოგროვებულ ქულებს შემატა რამე და... უშამპანუროდაც დარჩა. ორივე ნორვეგიელმა კი ისევ ბრწყინვალედ იასპარეზა — კიუსმა გაიმარჯვა, ამოდტმა მეორე ადგილი დაისაკუთრა. ერთს 100 ქულა ერგო ჯილდოდ, მეორეს — 80. მსოფლიო თასისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. მაიერს 1021 ქულა აქვს, კიუსს — 952, ამოდტს — 889.

ქალებში გუშინ გამართული სუპერგიგანტის შემდეგ, რომელიც ავსტრიელმა რენატა გოეჩელმა მოიგო, საერთო ჩათვლაში მდგომარეობა არ შეცვლილა: ლიდერობს ავსტრიელი ალექსანდრა მაიზინცერი — 1230 ქულა, მეორე ადგილზეა გერმანელი ჰილდა გერგი — 967, მესამეზე — მარტინა ერტლი.



REUTERS კორტინა დამბეცოდან

გუშინწინ ქალთა სწრაფდაშვებაში კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვა ფრანგმა რეჟინა კავანუმ. სამთო-სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში ფრანგებმა უკანასკნელად 17 წლის წინათ დაიკავეს პირველი ადგილი. რეჟინას საუკეთესო შედეგი კი მე-7 ადგილი იყო ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებში

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ტორონტო	46	27	3	16	152:133	57
ოტავა	45	25	6	14	131:101	56
ბუფალო	43	23	7	13	119:86	53
ბოსტონი	43	20	7	16	116:97	47
მონრეალი	46	17	8	21	106:120	42

ატლანტა

ფილადელფია	44	24	10	10	135:87	58
ნიუ ჯერსი	44	25	5	14	129:117	55
პიტსბურგი	41	20	7	14	122:113	47
რეინჯერსი	45	17	7	21	117:124	41
აილენდერსი	46	14	3	29	106:136	31

წყნარი ოკეანე

დალასი	43	27	7	9	127:89	61
ფინიქსი	42	24	7	11	113:87	55
ანაჰაიმი	45	17	9	19	113:108	43
სან ხოსე	45	15	12	18	105:106	42
ლოს ანჯელესი	45	16	4	25	106:121	36

ცენტრი

დეტროიტი	46	23	3	20	135:122	49
სენ ტლუისი	42	16	9	17	111:108	41
ნეშვილი	45	16	4	25	104:143	36
ჩიკაგო	45	13	7	25	97:138	33

სამხრეთ-აღმოსავლეთი

კაროლინა	45	20	7	18	116:112	47
ფლორიდა	44	17	11	16	110:115	45
ვაშინგტონი	43	16	4	23	100:113	36
ტამპა	45	11	4	30	94:154	26

ჩრდილო-დასავლეთი

კოლორადო	45	22	4	19	114:113	48
ედმონტონი	44	18	7	19	126:116	43
ვანკუვერი	45	15	6	24	115:135	36
კალგარი	46	15	4	27	112:139	34

ბომბარდირები: *კარია* (ანაჰაიმი) 61(20+41); *ლინდროსი* (ფილადელფია) 59(26+33); *იაგრი* (პიტსბურგი) 57(17+40); *ლეკლერი* (ფილადელფია) 56(27+29); *იაშინი* (ოტავა) 53(20+33) *ფორსბერგი* (კოლორადო) 52(13+39); *სელიანე* (ანაჰაიმი) 51(22+29); *ფლერი* (კალგარი) და *სტრაკა* (პიტსბურგი) 47(21+26); *აიზერმანი* (დეტროიტი) 47(19+28); *ბრინდამორი* (ფილადელფია) 47(17+30) *სუნდინი* (ტორონტო) 47(16+31)

REUTERS უმ ალ ფახმიდან

უმ ალ ფახმის ცის ქვეშ

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

სამთა ტურნირი

ნორვეგია 3:3 ესტონეთი

1:0 სოლბაკენი (20), 2:0 სტრანდი (55), 3:0 კარეუ (71), 3:1 რეიმი (74პ), 3:2, 3:3 ზელინსკი (80, 88)

ნორვეგია: გროდასი, ლუნდეკვამი (ბასმა 46), ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბრეგდლომო (ტრანი76), ოსტენსტადი (ჰესტადი 55), სტრანდი (სკამელსრუდი 57), სოლბაკენი, ლარსენი, სტრანდლი (ი. ფლო 46), კარეუ

ესტონეთი: ტოპვერი, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი (როობა 41), ლემსალუ, სავიაუკი, კრისტალი (მეეტნი 90), ბრეიმი, ალონენი (სმირნოვი 82), ტერეხოვი (შვეცი 74), ვიიკკმაე (ზელინსკი 74), ოპერი

მსაჯი: ი. ხაიმი (ისრაელი)

საქართველოს ნაკრების მეტოქე ნორვეგიამ ისრაელის არაბულ უმ ალ ფახმიში გამართულ სამთა ტურნირში გაიმარჯვა. ეს მას შემდეგ, რაც გუშინ ბოლო შეხვედრაში ნოემბერში საქართველოს ნაკრებისგან ძლეულ ესტონეთს 3:3 ეთამაშა. ნორვეგიელთა მეკარე და კაპიტანი ფროდ გროდასი ტურნირის გამარჯვებულის თასით უმ ალ ფახმის მთავარმა შეიხმა რაიედ სალაპმა დააჯილდოვა.

ნორვეგია	2	1	1	0	4:3	4
ისრაელი	2	1	0	1	7:1	3
ესტონეთი	2	0	1	1	3:10	1

ჰიროში ოკუდას ფიქრები

„ტოიოტა მოტორსის“ პრეზიდენტი ჰიროში ოკუდა ამ ფოტოზე „კარტის“ სარბოლო ბოლიდზე კი ზის, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, მალე ფორმულა 1-ის მანქანაზეც არანაკლები ღირსებით გამოიჭიმოს. ოკუდას განცხადებით, „ტოიოტა“ სერიოზულად აპირებს 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ რბოლაში საკუთარი გუნდით მონაწილეობას.



მესაფლავე

— ესეც ასე — კმაყოფილმა იოზეფ ბლატერმა ასი წლის მოხუცის საფლავს ბოლო ნიჩაბი მიწა მიაყარა. იმ დღიდან დედამიწაზე გარდაცვლილი პოეტის მდიდარი ბიზნესმენი შთამომავალი გამეფდა, რომელსაც ბლატერის ნებასურვილით წინაპრის სახელი, ფუტბოლი დაუტოვეს... თუმცა, უკაცრავად, შეგვშლია. ფოტოზე ესპანეთის ქალაქ ლას როსასში ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩაფიქრებული საწვრთნელი კომპლექსის მშენებლობის საზეიმო დაწყებაა აღბეჭდილი. ფიფას პრეზიდენტი მომავალ ნაგებობას სიმბოლურად უყრის საძირკველს.



REUTERS მადრიდიდან

სანამ ევროპაში ზამთარი მძვინვარებს, ველომრბოლთა უმეტესობა თბილ ქვეყნებში გადაბარგდა. სამხრეთ ავსტრალიაში მიმდინარე „დაუნ ანდარის“ (რაც ჟარგონზე ავსტრალიას ნიშნავს) ტურში 104 მრბოლი ასპარეზობს, რომელთაც რამდენიმე ნამდვილი ვარსკვლავიც ურევიათ. აი, თუნდაც გერმანელი ერიკ ცაბელი, რომელმაც მეოთხე ეტაპზე იმარჯვა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29